

ქონდა“ (აკაკი); „ბისანამ იმ წუთშივე ნუგეში მიაგება და თან სასთუმალთან მიუჯდა“ (ვ. ჩექურ.); „მარიამი ნუგეშისმომგვრელ სიტყვებს ველარ პოულობდა“ (კ. გამს.); „მაგრამ ბეთქილი ნუგეშს არავის აძლევდა“ (თ. ონ.)... დამოწმებული შესიტყვებებიდანაც ჩანს, რომ ნუგეშით ადამიანის დამშვიდება აუცილებლად ვარაუდობს ფსიქიკური ფაქტორების ჩართვას, გონების მონაწილეობას, ჩაგონებას... (განსხვავებით იმ რიგის დამშვიდებისაგან, რომელიც წმინდა ფიზიოლოგიური გზით მიიღწევა). ალბათ ამის გამოა, რომ აღნიშნული სახელისაგან ნაწარმოები გარდამავალი ზმნის მონაწილეობით შედგენილ ფიგურალურ გამოთქმაში მეორე წევრად დღევანდელ ქართულში იხმარება უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი: თავს ინუგეშებს. ეს ნიშნავს: ნუგეშს აძლევს თავის თავს, თავს იმხნევეს. ამ მყარი შესიტყვების შეცვლა, სწორი ქართულის თვალსაზრისით, გამართლებული არ არის. ზეპირმეტყველებასა და ზოგჯერ პრესის ენაში კი ამ რიგის ენობრივი დარღვევები გვხვდება. მაგ.: „...სწორედ ბელგრაძის ტურნირებიდან ჩამოვედი „ხელმოცარული“, მაგრამ გულს იმით ვინუგეშებ [უნდა იყოს: თავს იმით ვინუგეშებ], რომ ამ შეჯიბრებათა რეკორდი მაინც მე მეკუთვნის“ („კომ.“). გულს ვინუგეშებ მიღებულია დღევანდელ ქართულში გაგრძელებული მეორე მყარი შესიტყვების (გულს ვიმშვიდებ) ანალოგიით ან ორი სწორი გამოთქმის აღრევით. სწორია: გულს იმშვიდებს და თავს ინუგეშებს.

დ

დაამთავრებს — დაასრულებს. დამთავრება და დასრულება სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებია და ნიშნავს რაიმე საქმის, ღონისძიების ბოლომდე მიყვანას, მთელად, სრულად გახდომას, დაბოლოებას. ამასთან, დამთავრება უფრო ზოგადი და, შესაბამისად, ფართო კონტექსტებში მოსახმარი სახელია აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად. დასრულება||ძვ. გასრულება ზმნებით კი, ჩვეულებრივ, ვრცელი ამბის (ზღაპრის...), დიდი, მნიშვნელოვანი ღონისძიების, მასშტაბური, ძნელად განსაზოროცილებელი საქმის დასასრული გამოხატება. (შდრ.: „გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“, — რუსთ.). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში ძველი ქართულიდან მომდინარე ფორმა გასრულება აქტიური, ფართო მოხმარების სიტყვა აღარ არის და მისი გამოყენება მხოლოდ პოეტურ-სტილიზებულ შესიტყვებაშია გამართლებული. ამიტომ სიტყვა გასრულება ორმაგადაა დასაწუნი ისეთ შესიტყვებებში, სადაც იგი ვერც ემო-

ციურ-სტილისტიკურ ეფექტს ქმნის და არც აზრობრივად არის მართებული, — ნახმარია არა დიდი და მნიშვნელოვანი, არამედ ხანმოკლე მოქმედებისა თუ ღონისძიების დამთავრების აღსანიშნავად. მაგ.: „როცა სერენადა გავასრულე [უნდა იყოს: დავამთავრე], გაისმა მსმენელთა აპლოდისმენტები და „ბრავოს“ ძახილი“ („ახ. კომ.“); „სერენადა რომ გასრულდა [უნდა იყოს: დამთავრდა], ჩემმა ძმამ ფლექტა ათრთოლებული ხელებით მიიკრა გულზე“ (იქვე).

ვინაიდან დასრულება ზმნა უფრო დიდი, მასშტაბური საქმის ბოლომდე მიყვანას გულისხმობს, შესიტყვებაში მასთან შეწყობილი ძირითადი სახელი ზოგჯერ მრავლობითი რიცხვის ფორმითაც არის წარმოდგენილი: დასრულდა დიდი გარდაქმნები, მშენებლობები... ბუნებრივი შესიტყვებებია: დამთავრდა მატჩი, შეხვედრა; მაგრამ: დასრულდა ჩემპიონატი, ოლიმპიადა; დაამთავრა ხკოლა და დაასრულა დისერტაციაზე მუშაობა, დაამთავრა სამუშაო და დაასრულა კარიერა და მისთ.

დასრულებას „აბსოლუტური დასასრულის“ ნიუანსი უჩანს: ის, რაც დასრულდება, თითქოს საბოლოოა, მისი ხელახალი გამეორება — დაწყება და დამთავრება — აღარ ივარაუდება. შდრ.: მან თვითმკვლელობით დაასრულა [და არა: დაამთავრა] თავისი სიცოცხლე; ანდა: ასე დასრულდა მეზობლებს შორის დიდი ხნის დავა... ივარაუდება, რომ საერთოდ მოელო ბოლო მეზობელთა დიდი ხნის დავას, შდრ.: ცუდად დამთავრდა გუშინდელი დავა. ამ ზმნასთან უფრო ბუნებრივია ჩხუბი.

ასევე უნდა იქნეს გამიჯნული ამ ორი ზმნის ხმარება მთელისა და ნაწილის აღმნიშვნელ სიტყვებთან. მაგ., გადაღებული პარტია ჭადრაკში უნდა დამთავრდეს და არა დასრულდეს; ასევე, ზვიმი [თუ მასში ერთი კონკრეტული ღონისძიება იგულისხმება] დამთავრდება და არა დასრულდება. შდრ.: „სოქში ლევიტინასა და სემიონოვას მეორე გადაღებული პარტია ლევიტინას გამარჯვებით დასრულდა [უნდა იყოს: დამთავრდა]“ („კომ.“); „ზვიმი დასრულდა [აჯობებდა: დამთავრდა], მაგრამ ამ განწყობილებამ, ამ შემართებამ თითოეულ სასწავლებელში, თითოეულ სასწავლო ჯგუფში გადაინაცვლა, ეს დღე კი დიდხანს დამახსოვრდება მის ყველა მონაწილეს“ (ახ. კომ.“).

დასასრულებს და დაამთავრებს სინონიმური სიტყვები ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც მთელისა და ნაწილის დაბოლოების, დასრულების გამომხატველები. მათი სემანტიკური განაწილების შესახებ იხ. დაამთავრებს — დაასრულებს.

დაბრუნდება/დაუბრუნდება. დაბრუნდება ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობა ასეთია: უკანვე მიიქცევა, ისევ იქ მივა, საიდანაც წამო-

ვიდა, გამობრუნდება. ამ ზმნასთან ბუნებრივ წყვილებს ქმნიან სახე-
ლები, რომლებიც წინადადებაში ადგილის გარემოების ფუნქციას ას-
რულებენ. ეს სახელები -**ში**, -**ზე** და -**თან** თანდებულიან მიცემითში
დაისმის. მაგ.: სოფელში, ქალაქში, თეატრში... მოედანზე, სტენაზე...
მდინარესთან... დაბრუნდება.

დაბრუნდება ზმნის საობიექტო ქცევის ფორმაა **დაუბრუნდება**.
მას მნიშვნელობის თვალსაზრისით უკანვე დაბრუნების, მობრუნების
შინაარსთან ერთად წინანდელ მდგომარეობაში ჩადგო-
მის, შეწყვეტილი საქმიანობის განახლების ნი-
უანსიც ახლავს. სახელი, რომელიც ამ შინაარსს იგუებს, ბუნებრივ
შესიტყვებას შექმნის **დაუბრუნდება** ზმნასთან. მაგ.: მუსიკას, მხატ-
ვრობას, სპორტს, კრივს, ტანვარჯიშს, მშობლიურ კერას, ოჯახს... და-
უბრუნდება. აქვე შემოვა თითქმის ყველა ის სახელი, რომელიც შეი-
ძლება **დაბრუნდება** ზმნასთან შეგვსდეს, ოღონდ შესიტყვებას ახლა
დაუბრუნდება ზმნის დამახასიათებელი შინაარსობრივი ნიუანსი ექ-
ნება.

სათანადო წყვილთა შედარება ამ შინაარსობრივ ნიუანსს კარგად
წარმოაჩენს. შესიტყვება **სოფელში** (სკოლაში, თეატრში) **დაბრუნდა**
ნიშნავს: სოფლიდან (სკოლიდან, თეატრიდან) წასული ისევ სოფელში
(სკოლაში, თეატრში) მივიდა. ხოლო მეორე წყვილის შესიტყვება **სო-
ფელს** (სკოლას, თეატრს) **დაუბრუნდა** ნიშნავს: ისევ წინანდელ მდგო-
მარეობაში ჩადგა — სოფლად ცხოვრება თუ შეწყვეტილი საქმიანო-
ბა განახლა (სკოლაში მასწავლებლობა თუ მეცადინეობა, თეატრში
მოღვაწეობა განაგრძო).

ის განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსი, რომელიც **დაბრუნ-**
და, **დაუბრუნდა** ზმნურ ფორმათა შორის არსებობს, ზოგჯერ არ არის
ხოლმე გათვალისწინებული. მაგ.: „— როგორ შეელიეთ სპორტს? —
უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა, რადგან სპორ-
ტმა ჩემს ცხოვრებაში სათანადო ადგილი დაიკავა. ამიტომ ძალიან გან-
ვიცდიდი, მაგრამ უფრო ის მამშვიდებდა, რომ ოდესმე **მძლეოსნობაში**
ისევ **დავბრუნდებოდი**“ („ლელო“). კონტექსტით აქ მძლეოსნობაში
შეწყვეტილი ვარჯიშის განახლება ივარაუდება. ამ მნიშვნელობას კი
დაუბრუნდება ზმნა გადმოსცემს (ამიტომ უნდა ყოფილიყო: ...ის
მამშვიდებდა, რომ ოდესმე მძლეოსნობას ისევ დავუბრუნდებოდი).
შდრ.: „**დავუბრუნდები** თუ არა ფეხბურთს? — არასგზით“ („კომ.“).

სხვა მაგალითები: „**გუნდში დაბრუნდა** ვ. ქვანია“ („ლელო“);
„მცირეოდენი ცვლილებები არის „სპარტაკშიც“... **დაბრუნდა** ნიჭიერი
მოთამაშე ვ. გლუშაკოვი“ („კომ.“); „დეკემბრის ბოლო რიცხვები-
დან... არდილესი **დაბრუნდება** არგენტინის ნაკრებში“ („ლელო“).

სემანტიკურად შეუფერებელი შესიტყვებებია გუნდში დაბრუნდა, ნაკრებში დაბრუნდა, რინგზე დაბრუნდა, რადგან ამ გამოთქმებში გუნდში, ნაკრებში, რინგზე სპორტს ჩამოცილებული, სხვა გუნდში გადასული თუ გამოჯანმრთელებული სპორტსმენის მხოლოდ ფიზიკურად დაბრუნება კი არ ივარაუდება, არამედ გუნდში, ნაკრებში თამაშის, კრივში ვარჯიშის განახლება. ამ მნიშვნელობათა გადმოცემა გუნდს დაუბრუნდა, ნაკრებს დაუბრუნდა, რინგს დაუბრუნდა შესიტყვებებით შეიძლება. შდრ.: „გუნდს დაუბრუნდა ნახევარმცველი ვ. სემიონოვი“ („კომ.“).

ასევე: „და მაინც, ვფიქრობ, რომ ჩვენი ფეხბურთი ძალის მოიკრებს და ტრიბუნაზე დააბრუნებს მაცურებელს, გაახარებს მას აზარტული, მწვავე, უკომპრომისო ბრძოლით, სპორტული ბრძოლით“ („კომ.“). სათქმელი აქ გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე იტყვა. საჭირო კი იყო თქმა იმისა, რომ აღორძინებული ფეხბურთი ინტერესდაკარგულ და გულგაცივებულ მაცურებელს კვლავაც დაუბრუნებს ტრიბუნებს — სპორტული ცხოვრების კვლავაც აქტიურ მონაწილედ და მის თავგამოდებულ გულშემატკივრად აქცევს.

დავა. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ამ სიტყვის მნიშვნელობა: ბეჭდობა, კამათი (ზეპირად ან წერილობით) ვისიმე აზრის სიმართლის დასაცავად. უკანასკნელი ხანების სპორტულ პრესაში სიტყვა დავა გადატანითი მნიშვნელობით დაიტვირთა, მას იყენებენ სპორტული შეჯიბრების აღსანიშნავად. მაგალითად, ხშირად გვხვდება ასეთი კონტექსტები: „წლეულს მაცურებელი ნახავს სსრ კავშირის საუკეთესო ათლეტების... ოსტატობას, რომელთა დავაშიც თბილისელი სპორტის ოსტატებიც... ჩაებმებიან“ („ლელო“); „ოდესელი სტუდენტების გამარჯვებით დამთავრდა დავა შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის მესამე პრიზიორთან“ („ლელო“); „დავა დღეს გადაწყდება“ („კომ.“). უკანასკნელ მაგალითში საქმე ეხება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირს.

ყველა ამ შემთხვევაში დავა სიტყვის ნაცვლად უნდა ეხმარათ: შეჯიბრება, ბრძოლა, შერკინება.

დაზარალება — დაზიანება — დაზავება სიტყვები სხვადასხვა სახის ვნებას, წახდენას აღნიშნავენ. დაზარალება სახელია დააზარალებს, დაზარალდება ზმნებით გამოხატული მოქმედებისა და ნიშნავს: ზარალი მოუვა, დაეკარგება, დააკლდება (ფული, ქონება); დაეხოცება (ხალხი, საქონელი), გაფუჭდება, დაზიანდება.

დაშავება (დააშავებს დაშავდება) იხმარება, დანაშაულის, რაიმე ცუდის ჩადენის, საქმის წახდენის, გაფუჭების აღსანიშნავად. მაგალითად, „ბავშვმა რა დააშავა?“ იგი გამოიყენება აგრეთვე ფიზიკურ

დაზიანების, ტყენის, დასახიჩრების, გახეიბრების მნიშვნელობით. დაშავებული (ვნებითი გვარის ნამყოს მიმღობა) ისაა, ვინც ან რაც დააშავეს, ან დაშავდა. აგრეთვე: ფიზიკურად დაზიანებული, ნატყენი, დასახიჩრებული.

მსგავსი შინაარსი აქვს აგრეთვე დაზიანებას. იგი ნიშნავს ზიანის მიყენებას, გაფუჭებას, დაავადებით ან სხვა მიზეზით დაშავებას, წახლენას (სხეულის რომელიმე ნაწილისას), მაგ., მხედველობის დაზიანება.

მსგავსებასთან ერთად ამ სამი სიტყვის მნიშვნელობებს შორის განსხვავებაც თვალსაჩინოა:

ზარალი, დაზარალება მატერიალურ დანაკარგს გულისხმობს; **დაშავება** — სულიერთა (ადამიანთა) გარეგანი ორგანოების ტრავმული ვნება, ფიზიკური ტყენა, დასახიჩრებაა. მაგალითად, ხელის, ფეხის, თავის... დაშავება. ხოლო შინაგან ორგანოთა ტრავმული ვნება და ასევე უსულო საგანთა ყოველგვარი ვნება, წახლენა — დაზიანება იქნება. მაგალითად, კუჭის, ღვიძლის დაზიანება; ვენახის დაზიანება, სახლის დაზიანება და ა. შ.

რამდენადაც სამივე აღნიშნული ზმნა გარკვეულ ვნებასთან, დანაკარგთან არის დაკავშირებული, თანამედროვე ქართულში შეიქმნა კიდევ ერთგვარი საფუძველი მათი სინონიმური გამოყენებისა და ამ გზით კონტექსტებში მათმა ურთიერთჩანაცვლებამ მოგვცა უმართებულო შესიტყვებების მაგალითები. ირევა, ერთი მხრივ, დაზარალება და დაშავება, დაზარალება და დაზიანება და, მეორე მხრივ, დაშავება და დაზიანება სიტყვები.

1. **დაზარალება (დაზარალებული) — დაშავება (დაშავებული).** დაზარალებულსა და დაშავებულს მსგავსი მნიშვნელობა აქვთ, — დანაკარგი, ვნება. ამასთან, ეს მნიშვნელობა, როგორც წესი, სულიერს უკავშირდება. თორივე სახელით აღნიშნული დანაკარგის ზოგადი ხასიათი და ამ დანაკარგის ერთნაირი საგნობრივი მიმართება დაზარალებულსა და დაშავებულს ერთი შეხედვით სინონიმებად წარმოგვიდგენს, მაგრამ, რამდენადაც ამ სიტყვების სემანტიკაში გარჩეულია დანაკარგის, ვნების ფორმა, სახე, ჩასიათი, მათი ერთ სინონიმურ ჯგუფში გაერთიანება ძნელდება.

როგორც ირკვევა, ამ სიტყვათა მოჩვენებითი სინონიმისა, და, აქედან, მათი აღრევის საფუძველი თავად ქართულში არ ძევს. ეს აღრევა რუსულის გავლენას უნდა მიეწეროს.

ქართულ დაზარალებულს, დაშავებულსა და დაზიანებულს რუსულში შეესატყვისება пострадавший. ასევე, пострадать ითარგმნება როგორც დაზარალება, დაშავება და დაზიანება. Они пострадали

от наводнения—ისინი წყალდიდობამ დააზარალა; Дом пострадал от землетресения—სახლი მიწისძვრამ დააზიანა; Пострадавший оказался в больнице—დაშავებული საავადმყოფოში აღმოჩნდა.

მაშასადამე, რუსულში არ განირჩევა არც ის, თუ ვის ან რას მოსდის ზარალი, ვნება — სულიერსა თუ უსულოს, — და არც ამ ვნების, ზარალის ხასიათი, — მატერიალურია იგი თუ ფიზიკური, საავტომობილო ავარიასა თუ კატასტროფაში დაშავებულიცა და ქურდისაგან დაზარალებულიც რუსულად пострадавший (человек) იქნება. ამიტომ რუსული пострадавший-ს ქართული შესატყვისები — დაზარალებული, დაშავებული და დაზიანებული — ერთ სინონიმურ ჯგუფში მოექცა. სწორედ ამ ფაქტს უნდა შეეწყოს ხელი იმისათვის, რომ თანამედროვე ქართულში გაჩნდა ტენდენცია, სიტყვა დაზარალებულით სამივე მნიშვნელობა გამოხატულიყო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში ვნება ერთდროულად შეიძლება იყოს მატერიალურიც, ფიზიკურიც და მორალურიც, და, რამდენადაც ზარალი უფრო ფართო სემანტიკური შინაარსის მომცველია, ასეთ შემთხვევებში გამოიყენება დაზარალება, დაზარალებული. მაგალითად: „მამისტოლა კაცი შებოჭეს, გასაღებები წაგლიჯეს და ძვირფასეულის ძებნას შეუდგნენ, მიაგნეს მსუბუქი მანქანის საყიდლად შეგროვილ ფულს და სხვა ნივთებს; ნაწამებმა ადამიანმა ძლივს გაითავისუფლა შეკრული ხელ-ფეხი და მომხდარი ამბავი სამსახურში მეუღლეს აცნობა. დაზარალებული სასწრაფო დანებარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს“ („თბილ.“); „აი ანუ, უგერგილობამ, წაყრუებამ, სახელმწიფოს ხარჯზე ხელგაშლილობამ და „გულკეთილობამ“ საწარმოს საგრძნობი მატერიალური და მორალური ზარალი მიაყენა“ („კომ.“). ამ წინადადებაში თუმცა ზარალი მართებულადაა ნახმარი, მაგრამ სახელურ-ზმნური შესიტყვების — ზარალი მიაყენა — ნაცვლად აჯობებდა მარტივი ზმნის გამოყენება: საწარმო მატერიალურად და მორალურად საგრძნობლად დაზარალდა (იხ. მიაყენებს).

თუ საუბარია მატერიალურ დანაკარგზე, მართებულია სიტყვა დაზარალებულის გამოყენება: „მოპარული ინდაურები დაუბრუნდა დაზარალებულ მამუჩარაშვილს“ („გამარჯ.“). მაგრამ, თუ ზარალი მატერიალური კი არ არის, არამედ ფიზიკურ ტრავმას გულისხმობს, ქართულში მას დაშავებული შეესაბამება და არა დაზარალებული. უკანასკნელ ხანს კი, სასამართლო-სამედიცინო კრიმინალისტური ინფორმაციების მოძალებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გააქტიურდა დაზარალებულის შემცველი უმართებულო შესიტყვებები. მაგ.: „გამწარებულმა გოგომ ღვინით გაღეშილ მოძალადეს მკრატლით მიიმე

ჭრილობა მიაყენა მარჯვენა თვალის არეში. **დაზარალებული** [უნდა იყოს: დაშავებული] წულაძე საავადმყოფოში მოათავსეს“ („ცისკა“); „ეს შემთხვევა აშკარად დაუდევრობის გამო მოხდა, ამასთან, ბრალი ორივეს — შოფერსაც და **დაზარალებულსაც** [უნდა იყოს: დაშავებულსაც] მიუძღვოდა“ („თბილ.“). „ორ ნაბიჯზე იპოვნა პირქვე და ვარდნილი და ნახევრად ჩაძირული ადამიანი, ზრუნვით გადააბრუნა და წამოყენება სცადა, მაგრამ **დაზარალებული** [უნდა იყოს: დაშავებული] სიცოცხლის ნიშან-წყალს არ ამჟღავნებდა“ („მნათ.“). „ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე მას მანქანა დიეჯახა. **დაზარალებული** [უნდა იყოს: დაშავებული], რომელსაც ფეხი ჰქონდა მოტეხილი, საავადმყოფოში მოათავსეს“ („კომ.“).

2. **დაზარალება (ზარალი)** — **დაზიანება (ზიანი)** სიტყვათა მნიშვნელობები მაშინ ირევა ერთმანეთში, როდესაც ობიექტი, რომელსაც ვნება მოსდის, უსულოა. ამასთან, თუ **დაზარალებისა** და **დაშავების** უმართებულო გამოყენების შემთხვევები ცალმხრივი მიმართებისაა (ე. ი. გვაქვს **დაზარალება** და **დაშავების** ნაცვლად, ხოლო საპირისპირო მოვლენა არა გვხვდება), **დაზარალება-დაზიანების**, **ზარალ-ზიანის** აღრევის შემთხვევები ორმხრივია.

დაზარალებაა გამოყენებული **დაზიანების** ნაცვლად შემდეგ წინადადებაში: „ხაშურში ვაზს ზამთრობით მარხავენ მიწაში, რათა ყინვამ არ დააზარალოს“ („ისგ სკოლაში“). ყინვისაგან ვაზის დაზიანების გამო ვაზმა შეიძლება კარგად ვერ გამოისხას ყურძენი, რის შედეგადაც მევენახე მატერიალურად დაზარალდება, მაგრამ, ვინაიდან ამ წინადადებაში საუბარია ვაზის დაზიანებაზე და არა მევენახის **ზარალზე**, ამიტომ სწორი იქნებოდა ასე თქმულიყო: „ხაშურში ვაზს ზამთრობით მარხავენ მიწაში, რათა ყინვამ არ დააზიანოს“.

მეორე მხრივ, **ზიანია** გამოყენებული **ზარალის** ნაცვლად: „დადიან ეს დევები, ძარცვავენ და ხოცავენ ხალხს, ცეცხლს უკიდებენ ყველაფერს, რაც კი თვალში მოუვიათ და სახელმწიფოს დიდ **ზიანს** აყენებენ“ (ჯ. ქარჩხ., დ. წერქედ., თარგმ.); „დაზიანდა... მრავალწლოვანი კულტურები, დიდი **ზიანი** მიადგა მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობებს“ („კომ.“). დევები თავიანთი მოქმედებით სახელმწიფოს **ზარალს** აყენებენ. ასევე, ერთწლოვანი კულტურების დაზიანების შედეგად **მეურნეობა** **ზარალდება** და არა **ზიანდება** შდრ.: „დანარჩენ კულტურებში კოლმეურნეობამ იზარადა“ („ივრ. განთ.“); „ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ კოლმეურნეობამ **ზარალით** დაამთავრა გრძელი წელი“ (იქვე).

ზიანი და ზარალი ერთგვარი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ხშირ შემთხვევაში ზარალი ზია-

ნისაგან გამომდინარეობს, მისი შედეგია. ოღონდ საგნობრივი მიმართება მათ განსხვავებული აქვთ. **ზარალდება ადამიანი** (ან ადამიანთა ჯგუფი), ხოლო **ზიანდება** ამ ადამიანთა საკუთრება — **უსულო საგანი**. **ზარალ-** და **ზიან-** სიტყვების სემანტიკური ნიუანსები კარგად ჩანს შემდეგ წინადადებებში: „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის ძალით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნეულია მიყენებული **ზარალის** ნებაყოფლობითი ანაზღაურება ან მიყენებული **ზიანის** გამოსწორება“ („კომ.“); „მუშა, რომელიც დაგვიანებით მიდის სამუშაოზე, ძვირფას სამუშაო წუთებს კარგავს არა მარტო თავისი კოლექტივის **საზიანოდ**, არამედ თავის ოჯახსაც **აზარალებს**“ („თბილ.“).

დაზიანება — დაზავება. ამ სიტყვებით გამოხატული ვნება, დანაკარგი საკმაოდ კარგადაა გამოიხსნული ქართულში: **დაზიანება** უსულო საგანთა წახდენა, **დაზავება** მხოლოდ სულიერისათვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე, ორივე ვნება ტრავმული ხასიათისაა, სხვადასხვა გარეგანი ფაქტორებით განპირობებული. შეიმჩნევა კიდევ ერთი სპეციფიკური ნიუანსი: თუ ტრავმული ვნება ადამიანის გარეგან ორგანოებს შეეხება, ამ მოვლენას **დაზავებით** აღვნიშნავთ; ხოლო თუ იგივე ტრავმა შინაგან ორგანოებს შეეხება, მაშინ **დაზიანება** იქნება.

ძველ ქართულში **დაზავება** სულ სხვა მნიშვნელობით (= **გაშავება**, **გაფუჭება**) დასტურდება. **დაზიანება** დღევანდელ **დაზავებასაც** მოიცავდა და საკუთრივ **ზიანის** მიყენებასაც, ე. ი. სულიერის ვნებაც იყო და უსულოსიც. შემდგომ, როდესაც **დაზავების** თავდაპირველი მნიშვნელობა დაბნელდა და გადატანითი შინაარსით ეს სიტყვა დაუკავშირდა წახდენას, ვნებას, — **დაზიანების** მნიშვნელობიდან გამოიყო სულიერის ვნება და იგი დღევანდელი **დაზავების** სემანტიკაში მოექცა. **დაზავების** თავდაპირველი მნიშვნელობის დაკავშირებას ტრავმულ ვნებასთან ზელი შეუწყო იმ მოვლენამ, რომ ტრავმის შედეგად დაზიანებული სხეული ზშირად ფერს იცვლის, შავდება; ამდენად, **დაზავება** არის ტრავმული ვნების თანამდევი, ტრავმის შედეგი. ამიტომ მოვლენას, რომელიც სხეულის ცალკეულ ნაწილთა ტრავმას ანდა ტრავმის შემდგომ ადამიანის საერთო მდგომარეობას ასახავს, ადვილად მიესადაგა **დაზავდა**, **დაზავებულის** მნიშვნელობები (საინტერესოა, რომ შინაგან ორგანოთა ტრავმის შემთხვევაში, როდესაც დაზიანებული სხეულის გაშავება, ფერის შეცვლა არ შეიმჩნევა, სხეულის ვნებას, წახდენას **დაზიანებით** აღვნიშნავთ და არა **დაზავებით**). შემდგომ კი, რუსულის გავლენით, **დაზიანება** და **დაზავება** სინონიმურ სიბრტყეზე აღმოჩნდნენ (იხ. **დაზარალება — დაზიანება — დაზავება**).

ასე რომ, სულიერის მიმართ **დაზიანების** ხმარებას ქართულშივე უჩანს საფუძველი (შდრ. „რუსულდანიანში“: „ბრძანებითა ღმრთისათა სიკვდილით არა დაგვიზიანდა რა ასეთი, რომე დაგვეკლებოდა“), ოღონდ ეს საფუძველი ამჟამად რუსულმა „გააცოცხლა“.

თანამედროვე ქართულში **დაზიანებისა** და **დაშავების** მნიშვნელობები ირევა მაშინ, როდესაც ვნება ადამიანს ეხება. ამასთან, **დაშავება** არასოდეს იხმარება **დაზიანების** ნაცვლად, **დაზიანების** გამოყენება კი **დაშავების** მნიშვნელობით ძალიან გახშირდა. მაგ.: „არქივებმა შემოგვინახეს ცნობა იმ პირველ ავტოშემთხვევაზე, როცა ავტომობილმა ადამიანი დააზიანა [უნდა იყოს: დააშავა]“ („კომ.“). „სოფელ მთისპირეთში ამას წინათ აფეთქების შედეგად დაზიანდა [უნდა იყოს: დაშავდა] და საავადმყოფოში მიიყვანეს 10 კაცი“ („კომ.“). „ავტომძღოლი მძიმედ დაზიანდა [უნდა იყოს: დაშავდა]“ („სოფლ. ცხოვრ.“). „ავტომობილის კატასტროფის შედეგად მარტო შარშან დაზიანდა [უნდა იყოს: დაშავდა] 319. 544 კაცი“ („სოფლ. ცხოვრ.“).

თანამედროვე ქართულისათვის არასწორია აგრეთვე მანქანის დაზიანებისა და მძღოლის დაშავების აღსანიშნავად ერთი ზმნის გამოყენება, როგორც ეს შემდეგ წინადადებაშია: „დაზიანდა როგორც მანქანა, ისე შოფერი“ („თბილ.“). მანქანა, ტრანსპორტი ზიანდება, ხოლო ადამიანი — შავდება!

თუმცა ადამიანის სხეული, მისი ცალკეული ნაწილები რეალურად სულიერს განეკუთვნება, გრამატიკულად იგი უსულო, რა ჯგუფის სახელებით გამოიჩატება. ხოლო იმ ფაქტმა, რომ უსულო საგანთა წახდენასთან დაკავშირებით, ჩვეულებრივ, გამოიყენება **დაზიანება**, ვხა ვაუხსნა როგორც მთლიანად ადამიანის, ისე მისი სხეულის ცალკეული ნაწილების დაშავების აღსანიშნავად სიტყვა **დაზიანების** გამოყენებას. ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სხეულის გარკვეულ ნაწილთა (შინაგან ორგანოთა) ვნება ისედაც **დაზიანებით** აღინიშნებოდა.

ამ თვალსაზრისით ცალკე ჯგუფს ქმნის უკანასკნელ ხანებში ძალზე გავრცელებული ისეთი შესიტყვებები, როგორიცაა: **სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება** და მისთ. მაგ.: „ს. ჩიბურდანიძემ **სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება** მიიღო“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ნიკოლოზ რომელაშვილმა **სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება** მიიღო“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ამის შედეგად ოთხი წლის გოგონა გარდაიცვალა, დედას და ვაჟს კი **სხეულის მძიმე დაზიანება** მოუვიდათ“ („კომ.“); „არც შეილი დარჩენილა ვალში — მამას **სხეულის მსუბუქი დაზიანება** მიაყენა, ჯანმრთელობის მოშლით“ („სოფლ. ცხოვრ.“); „საბედნიე-

როდ, ტრავმა სხეულის არამძიმე დაზიანებით დამთავრდა“ („სოფლ-ცხოვრ.“).

იურიდიულ ტერმინოლოგიაში არსებობს მყარი გამოთქმები: სხეულის მსუბუქი დაზავება (და არა დაზიანება)—легкое телесное повреждение, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზავება—менее тяжкое телесное повреждение, სხეულის საშუალოდ მძიმე დაზავება—телесное повреждение средней тяжести, სხეულის მძიმე დაზავება—тяжкое телесное повреждение და ა. შ.

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილ წინადადებებში წმინდა იურიდიული ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც უზუსტობაა, — დაზიანება გამოყენებული დაზავების ნაცვლად.

ვარდა ამისა, აღნიშნული შესიტყვებები მოყვანილ წინადადებებში სტილისტიკურადაც გაუმართავია, რადგანაც სახელურ-ზმნური შესიტყვების (დაზიანება/დაზავება მიიღო, მიაყენა) ნაცვლად სათანადო მარტივი ზმნები უნდა ყოფილიყო გამოყენებული: დააზიანა/დააზავა, ვთქვათ, ასე: ს. ჩიბურდანიძე მსუბუქად დააზავდა; ნ. რომელაშვილი მძიმედ დააზავდა;... დედა და ვაჟი მძიმედ დააზავდნენ; ...მამა მსუბუქად დააზავა; ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა.

დაისაკუთრებს ნიშნავს: ვინმეს ან რამეს თავის საკუთრებად აქცევს, მისაკუთრებს, მიითვისებს, დაეპატრონება, დაიჩემებს: „მშებს გაყრის დროს წიგნზე დიდი ცილობა მოუვიდათ, ორნივე მის დასაკუთრებს ნდომობდნენ“ (ი. გოგებ.); „ჩემი შარტი რომ დაისაკუთრა, ცხენი იმრიგადვე უნდოდა დაესაკუთრებინა“ (გ. წერეთ.); „...რა დავაიწყებს შენს ძველ ნააკვნარს... მტრებმა ცეცხლით დაისაკუთრეს“ (ი. აბაშ.).

უკანასკნელ ხანებში ამ ზმნამ უჩვეულოდ გაითავსო მნიშვნელობა, კერძოდ, თანამედროვე სპორტულ და შემოქმედებით კონკურსთა ამსახველ ინფორმაციებში მეტად გავრცელდა დაისაკუთრებს ზმნის ისეთ სახელებთან შესამების პრაქტიკა, როგორცაა: ადგილი პრიზი, ჯილდო, პრემია, მედალი, თასი, გამარჯვება, ლიდერობა, ჩემპიონობა და მისთ. მაგ.: „...თბილისის დინამოელებმა ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადის ფეხბურთელების შემდეგ II ადგილი დაისაკუთრეს [სწორია: დაიკავეს, ან: რისინი II ადგილზე გამოვიდნენ]“ („თბილ.“); „დასკვნით მატჩში მათ დაამარცხეს ქუთაისელი ფეხბურთელები და „სიჭაბუკის თასი“ დაისაკუთრეს [უნდა იყოს: თასი მოიპოვეს, აიღეს]“ („თბილ.“); „...თბილისელებმა ოქროს მედლებთან ერთად საკავშირო სპორტკომიტეტის ბროლის თასი დაისაკუთრეს [უნდა იყოს: მოიპოვეს]“ („თბილ.“); „მედლა ამირანაშვილმა ჩიოჩიო-სანის სახელობის II სიერთაშორისო კონკურსზე III პრემია და

მცირე ზომის ოქროს თასი დაისაკუთრა [უნდა იყოს: თასი მოიბო-
ვა]“ („საბჭ. ხელ.“); „ასე დაისაკუთრა [უნდა იყოს: მოიბოვა] თავი-
სუფალი სტილის მოჭიდავე ბორის ლენჩილიამ... სპარტაკიადის ჩემ-
პიონის ოქროს მედალი“ („ლელო“); „...თბილისელებმა 44 ქულა დაა-
ვროვეს და მცირე ოქროს მედლები დაისაკუთრეს [სწორია: მედლე-
ბით დააჯილდოვეს]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „...მომდევნო ტურში კი...
ვადამდე აღრე დაისაკუთრეს [უნდა იყოს: მიიღეს, მოიბოვეს] სპატიო
ჯილდო...“ („ლელო“); „ახლა დინამოელ ჭაბუკთა წინაშე რთული
ამოცანა დგას... ფინალის საგზური დაისაკუთრონ [უნდა იყოს: მოი-
პოვონ, მიიღონ]“ (თბილ.“); „[კარბოვის] ქულანახევარი დაუგროვდა
და თავის თანატოლთან, საერთაშორისო ოსტატ უ. ანდერსონთან...
ერთად ლიდერობა დაისაკუთრა [უნდა იყოს: ვახდა გათამაშების ლი-
დერი, ან: გათამაშების სათავეში მოექცა]“ („ლელო“); „შუბის ტყორ-
ცნაში გამარჯვება დაისაკუთრა [უნდა იყოს: მოიბოვა]“ („ლელო“).

მაშასადამე, სპორტულ შეჯიბრებაში შეიძლება ამა თუ იმ ადგი-
ლის მოპოვება; შემოქმედებით კონკურსში ან სპორტულ შეჯიბრება-
ში გამარჯვებულმა შეიძლება მოიპოვოს ან მიიღოს პრემია, ჯილდო,
პრიზი, მედალი... ანდა დაჯილდოვდეს მედლით. გამარჯვება სიტყვას-
თან ბუნებრივია ზმნა მოიპოვა. რიგ შემთხვევაში საჭირო ხდება მთე-
ლი კონსტრუქციის შეცვლა (შდრ.: III ადგილი დაისაკუთრა — III
ადგილზე გამოვიდა; ლიდერობა დაისაკუთრა — ლიდერი ვახდა, გა-
თამაშებას სათავეში ჩაუდგა ან გათამაშების სათავეში მოექცა).

დამაჯერებლად ზმნისართია; ნაწარმოებია მოქმედ. გვარის მიმ-
ლეობისაგან; **დამაჯერებელი** — რაც (და)აჯერებს (ვისმე რამეში), —
დამარწმუნებელი, სარწმუნო. ეს ზმნისართი ბუნებრივ შესიტყვებას
ქმნის თხრობის, საუბრის სემანტიკის მქონე ზმნებთან: **დამაჯერებლად**
მსჯელობს, **დამაჯერებლად** **მოგვითხრობს**, **დამაჯერებლად** **საუბრობს**,
დამაჯერებლად **გადმოგვცემს** (შინაარსს, შთაბეჭდილებებს)... **დამაჯე-
რებელი** შეიძლება იყოს, აგრეთვე, პიროვნების თამაში, ქცევა სტე-
ნაზე თუ ცხოვრებაში. მაგალითად: „ექიმი ცდილობდა **დამაჯერებლად**
ეტქვა“ (გ. ჩეკურ.); „აღცოთუ საესებით **დამაჯერებლად** ეჩვენა თავისი
ნათქვამი“ (ჭ. ამირეჯ.); „ნათელას ოღნაეადაც არ შეჰპარვია ეჭვი
თქვენს ფულწრფელობაში და თქვენ ვიხაროდათ, რომ ასე **დამაჯერე-
ბლად** თამაშობდით“ (გ. ჩეკურ.); „გაიძვერა, ბოროტი, შენიღბული
მტრის **დამაჯერებელი** სახე შექმნა... არტისტმა“ („აბ. კომ.“).

უკანასკნელ ხანს პრესაში, კერძოდ, სპორტულ ინფორმაციებში,
გავრცელდა შესიტყვებები: **დამაჯერებელი გამარჯვება**, **დამაჯერებლად**
გამარჯვა, ეს უკანასკნელი კალკია რუსული გამოთქმისა — уверенно одер-
жал победу.

გამარჯვება გარკვეული ბრძოლის (თუ შრომის) შედეგად მოპოვებული წარმატებაა. **დამაჯერებელი** (სარწმუნო) არ შეიძლება იყოს თვით გამარჯვება — უკვე მიღწეული შედეგი. ამიტომ **დამაჯერებელი** შეუხამებელია სიტყვა **შედეგებთანაც**. მაგალითად: „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კოლექტივების თავდადებული შრომით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით განვლილ ცხრა თვეში მოპოვებულია საკმაოდ **დამაჯერებელი შედეგები**“ („კომ.“) [უმჯობესია: შთამაგონებელი (ან შთამბეჭდავი) შედეგები].

შეიძლება ვთქვათ: აღამიანი დარწმუნებულია, დაჯერებულია თავის ძალებში და იმარჯვებს; ე. ი. თითქოს უფრო ლოგიკური ჩანს **იმარჯვებს** (გაიმარჯვა) ზმნასთან ვნებითი გვარის მიძლეობისაგან ნაწარმოები ზმნისართის გამოყენება: **დაჯერებულად იმარჯვებს** (გაიმარჯვა). მაგრამ ენობრივად ეს შესიტყვებაც არაბუნებრივია; უფრო ბუნებრივი იქნებოდა **დამაჯერებლად ზმნისართის ხმარება** პროცესის გამომხატველ ზმნასთან: **დამაჯერებლად ან დაჯერებულად** (მტკიცედ) **თამაშობს**.

გამარჯვება შეიძლება იყოს უდავო, დამსახურებული (დაუმსახურებელიც), მოხდენილი... სპორტულ შეჯიბრებებში — წმინდა (და არა სუფთა), დიდანგარიშიანი, ბრწყინვალე, შთამბეჭდავი (შთამაგონებელი), კანონზომიერი... გვხვდება კიდევ ასეთი შესიტყვებები. მაგ.: „ლეიდანში (პოლანდია) ოთხი დიდოსტატის მატჩ-ტურნირის მესამე წრე... სპასკის **შთამბეჭდავი გამარჯვებით** დაიწყო („ლელო“); „მეორე და კვლავ **დიდანგარიშიანი გამარჯვება** ჩაიწერა გათამაშების ცხრილში ორჯონიკიძის „სპარტაკმა“...“ („ახ. კომ.“).

ქვემოთ მოყვანილი შესიტყვებები კი არაბუნებრივია ქართული სალიტერატურო ენისათვის: „ვაჟთა შორის **დამაჯერებლად** [უნდა იყოს: აშკარა უპირატესობით, ან: დიდი ანგარიშით] **გაიმარჯვა**... მოსკოველმა მ. საფონოვმა“ („ლელო“); „საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა ოქროს 5, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 2 მედალი. **გამარჯვება**, როგორც ხედავთ, **დამაჯერებელია**“ („ლელო“). ამ წინადადებაში კი თვით სიტყვა **გამარჯვებაც** შეუფერებელია. მედლების რაოდენობა ჯერ კიდევ ვერ განსაზღვრავს გამარჯვებას. [უმჯობესია: შედეგი, როგორც ხედავთ, შთამბეჭდავია, საუცხოოა (ჩინებულება), ან — უფრო ექსპრესიულად: ბრწყინვალე გამარჯვებაა!].

გაიმარჯვა ზმნას ზოგჯერ მოიგო ენაცვლება. ზმნისართი **დამაჯერებლად** მასთანაც უკუსაგდება. მაგ.: „ჩვენმა მოსკოველმა თანამემამულემ მიხეილ მაშიაშვილმა ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა. მან თავის ქვეგვუფში მომდენო ორი შეხვედრაც **დამაჯერებლად** [ხედ-მეტია] მოიგო...“ („კომ.“).

დამოკიდებული, დამოუკიდებელი. დამოკიდებული არის დამოკიდებს ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობა. ზმნა დამოკიდებს დამო- ზმნისწინის ხმარებიდან გადაფარდნის გამო (მას ახალ ქართულში ჩამო- ზმნისწინი შეენაცვლა) აღარ იხმარება. მისი მნიშვნელობით დღეს ჩამოკიდებს გვხვდება. ძველი ქართულის „დამოჰკიდებს ძელსა“ ახალ ქართულში ნიშნავს: „ზეზე ჩამოკიდებს“.

ჩამოკიდებს ზმნისაგან იწარმოება ჩამოკიდებული — რაც (ან ვინც) ჩამოკიდეს ან ჩამოეკიდა. — დაკიდებული: „ტალავერში მალა ყურძნის მტევნები იყო ჩამოკიდებული“ (აკაკი).

ამოსავალი, საწარმოებლად გამოყენებული დამოკიდებს ზმნისაგან განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსი აქვს მიმღეობას — დამოკიდებული: 1. რაც სხვა რამისაგან გამომდინარეობს, რაც სხვასთან არის დაკავშირებული, — სხვა რამით შეპირობებული, სხვას დაქვემდებარებული, არათავისთავადი. 2. ვინც (რაც) სხვას ექვემდებარება, — არათავისუფალი (თავის მოქმედებაში), სხვას დაქვემდებარებული, სხვას დამორჩილებული.

დამოკიდებული, რომელიც წინადადებაში დამხმარე ზმნასთან ერთად შედგენილი შემასმენლის ფუნქციას ასრულებს, ინარჩუნებს ფუძედ აღებული ზმნის სინტაქსურ კონსტრუქციას. შდრ. დამოჰკიდა ძელსა//ძელსა ზედა და: დამოკიდებულია ვინმეზე ან რამეზე. მაგალითად: „ყოველთვიური შესატანების ოდენობა დამოკიდებულია სადაზღვევო თანხაზე, დაზღვევის ვადაზე, დაზღვეული პირის ასაკზე“ („თბილ.“); „ამ ბრძოლაზე დამოკიდებული იყო მთელი გუნდური შეხვედრის ბედი“ („ლელო“); „ამ პრობლემის გადაწყვეტა უშუალოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული“ („თბილ.“) და სხვ.

დამოკიდებულია +-ზე თანდებულიანი სახელი ბუნებრივი და ენაში გაბატონებული სინტაქსური კონსტრუქციაა. მაგრამ ბოლო დროს პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში მართებული -ზე თანდებულიანი კონსტრუქციის გვერდით ფეხს იკიდებს -გან თანდებულიანი კონსტრუქცია — დამოკიდებულია ვინმესაგან ან რამესაგან. მაგ.: „ხერხემლის ოსტეოქონდროზი არ არის დაკავშირებული მარტილების ცვლის დარღვევასთან, ამიტომაც დამოკიდებული არ არის კვების ხასიათისაგან [უნდა იყოს: ხასიათზე]“ („სოფლ. ცნობრ.“); „მთავარი და დამოკიდებული წინადადება ერთმანეთისაგან [უნდა იყოს: ერთმანეთზე] არიან დამოკიდებულნი“ („უე სკოლაში“); „იგი შეიძლება დამოკიდებული იყოს სუბიექტისაგან [უნდა იყოს: სუბიექტზე]“ („უე სკოლაში“); „იმისაგან, თუ როგორი იყო მისი ბავშვობა, ვისთან ხელჩაკიდებულმა განვლო ბავშვობის წლები, მნიშვნელოვნად

არის დამოკიდებული, როგორ ადამიანად იქცევა დღევანდელი პატარა“ („თბილ.“).

ამგვარი კონსტრუქციის (დამოკიდებულია +-გან თანდებულიანი სახელი) გაჩენას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სათანადო რუსული შესიტყვებები (შდრ.: *зависит от кого-н., чего-н.*) და, მეორე მხრივ, ბოლო დროს რუსულსავე გზით ენაში ფუნქციონირებული უარყოფითი მიმდებარე გამონათქვამები ჩემგან (შენგან, მისგან...) დამოუკიდებელი მიზეზების გამო (შდრ.: *по независившим от меня обстоятельствам*) და ჩემგან (შენგან, მისგან...) დამოუკიდებლად (შდრ. *независимо от меня*). მაგ.: „ზოგიერთ ვუნდთან თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხშირად გიხდებათ შეხვედრა. კარგია ეს თუ ცუდია?“ („ლულო“); „მეშინოდა შინაგანი თვითდამშვიდებისა, რომელიც შეიძლებოდა ჩემგან დამოუკიდებლად წარმოქმნილიყო“ („ლულო“).

ამავე მნიშვნელობით ენაში იშვიათად -ზე თანდებულიანი კონსტრუქციებიც გვხვდება. მაგ.: „...შემდგომში მათზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო სამრეცხაო საამქროს გაჩერების შემთხვევაში გასარეცხად მიღებული თეთრეული გაიგზავნოს ჩვენდამი დაქვემდებარებულ რომელსამე სამრეცხაოში“ („თბილ.“); „მათ მუშაობის ნორმალურად წარმართვაში ხელს უშლის ზოგიერთი მათზე დამოუკიდებელი გარემოება“ („საქ. ბუნ.“).

დამოუკიდებელი +-ზე თანდებულიანმა კონსტრუქციამ, რომელიც ქართულისათვის უფრო ბუნებრივი ჩანს (შდრ. იმავე ფუძის დადებითი მნიშვნელობიანი მიმდებარის სინტაქსური კონსტრუქცია — დამოკიდებულია +-ზე თანდებულიანი სახელი) ფეხი ვერ მოიკიდა და ენაში უცხო ენობრივი კონსტრუქცია მკვიდრდება.

ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჩემგან დამოუკიდებლად ნიშნავს იმას, რასაც გარეგანი მიზეზები იწვევს, გარეშე ფაქტორები განაპირობებს და რაც ამიტომ არ შეიძლება გამომდინარეობდეს ჩემი ნება-სურვილისაგან, ჩემს ნება-სურვილზე იყოს დამოკიდებული, ე. ი. რაც უნებლიეთ, ჩემს//ჩემდა უნებურად, ძალაუნებურად ხდება.

სწორედ ამ (უნებლიეთ, ჩემს//ჩემდა უნებურად, ძალაუნებურად) ზმნისართთა ან კონსტრუქციათა ფუნქციით იხმარება მეტწილად თანამედროვე ქართულში ჩემგან (ვინმესგან) დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჩემგან (ვინმესგან) დამოუკიდებლად. შდრ.: „მაგრამ ეს მოხდა ჩემს უნებურად, გულთამხილავო, მე არ მაქვს ბრალი“ (აკაკი). ამ სტრიქონებში ჩემს უნებურად თანამედროვე ქართულის საქმიანი ქაღალდების ენით იგივეა, რაც ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ზემოთ და-

სახელმწიფო მთავრობის მიერ, რომელიც „ზოგიერთ გუნდთან თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხშირად ვიხდებით შეხვედრა“, შეიძლება ასე გვეთქვას: ზოგიერთ გუნდს ძალაუფლებად ხშირად ხვდებით. ასევე შეიძლება შეგვეცვალოს კანცელარია სტილი შემდეგი წინადადებისა: „მეშინოდა შინაგანი თვითდამშვიდებისა, რომელიც შეიძლება ჩემგან დამოუკიდებლად წარმოქმნილიყო“. ალბათ ასე აჯობებდა: მეშინოდა, ჩემდა უნებურად თვითდამშვიდების გრძობა არ დამეფლებოდა.

საესებით გამართლებულია ჩვენთვის საინტერესო შესიტყვებათა გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა მათ გარკვეული სტილისტიკური დანიშნულება აქვთ. მაგალითად: „იგი საქმის წახედნას არასოდეს არ დააბრალებს ეგრეთწოდებულ „ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზებს“ („კომ.“). ხაზგასმული შესიტყვება მოცემულ კონტექსტში სასურველ ეფექტს იძლევა. სტატიის ავტორს შესაძლებლობას აძლევს თავისი გმირი დაუბრუნებლობის იმით, ვისაც ადვილად შეუძლია დანაშაულის სხვისთვის გადაბრალება და ნებისმიერ სიტუაციაში თავის მართლებას. სხვა შემთხვევაში, როცა ნეიტრალურ კონტექსტთან გვექნებოდა საქმე, სათქმელი შეიძლება ასე გადმოგვეცა: იგი საქმის წახედნას სხვას არასოდეს არ დააბრალებს.

ვინმესგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვინმესგან დამოუკიდებლად შესიტყვებათა გამოყენებას ზემოთქმულისაგან განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსი ახლავს ასეთ კონტექსტებში: „...საგზაო შემთხვევა მძღოლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა“ („თბილ.“); „ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გადაცემა მიმდინარეობდა ხარვეზებით“ (ასეთი განცხადება არაერთხელ მოგვისმენია ტელეეკრანებიდან); „თებერვლის პირველი რვა დღის მანძილზე რესპუბლიკას ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დააკლდა მილიონზე მეტი კუბური მეტრი გაზი“ („თბილ.“).

ვინმესგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აქ ნიშნავს: რაც მის (ვინმეს) გამო, მისი მიზეზით (უწყურადღებობით, დაუდევრობით) არ მომხდარა, რაშიც ის უბრალოა, უდანაშაულოა.

სწორედ ამ მნიშვნელობით მკვიდრდება თანამედროვე ქართულში ეს შესიტყვება. ამ მნიშვნელობით მისი გამოყენება საქმიანი ქალაქების ენასა და სასაუბრო მეტყველებაში გამართლებული ჩანს. თუმცა სასურველი არ არის მისი გამოყენების არის ვაფართოება; ასევე სასურველი არ არის ამ შესიტყვების ხმარება უნებლიეთ, ჩემს// ჩემდა უნებურად, ძალაუფლებურად ზმნისართთა ან ზმნისართული კონსტრუქციის ფუნქციით.

დანასისხლად იყიდება. ქართულში გავრცელებული და ჩვეულებრივ სახმარი გამოთქმებია, ერთი მხრივ, **დანასისხლად გადაეკიდება** (= მოსისხლე მტრად გაუხდება) და, მეორე მხრივ, **მამასისხლად გაყიდის** (= ძალიან ძვირად, ცეცხლის ფასად გაყიდის). ამ გამოთქმებს სრულიად განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობა აქვთ. სავარაუდოა, რომ ამ მყარი გამოთქმების პირველი წევრების — კომპოზიტივის — **დანასისხლად** და **მამასისხლად** — მსგავსმა შედგენილობამ, სტრუქტურულმა ერთგვარობამ განსაზღვრა თანამედროვე პრესის ენაში ამ გამოთქმათა შერწყმა: „ახალი სანატორიუმის აშენებამდე აუცილებელია დროებითი კოტეჯები მიიწვ აიგოს, რათა ღამის გასათევი ადგილი **დანასისხლად არ იყიდებოდეს**“ („კომ.“). აღნიშნულ რთულ სიტყვათაგან **გაყიდვა** ზმნა შეეხამება მხოლოდ სიტყვას **მამასისხლად** და შესიტყვებაც სათანადოდ უნდა გასწორდეს: „...რათა მამასისხლად არ იყიდებოდეს“.

დანაშაული — ბრალი — სასჯელი. ეს სიტყვები იურიდიული ტერმინებია; მათ მიერ გამოსახატავი ცნებები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი, ლოგიკური აუცილებლობითაა დაკავშირებული. დანაშაული, მორალური თუ სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით, არაკანონიერი, არამართებული მოქმედების ფაქტია. ამ სიტყვის სემანტიკაში ასახულია მოსაუბრის პოზიცია, მისი უარყოფითი შეფასებითი დამოკიდებულება ჩადენილი მოქმედების მიმართ. დანაშაული, როგორც გარკვეული მოქმედების მიმართ მოსაუბრის სამართლებრივი პოზიციის გამომხატველი, შესიტყვებაში დინამიკური შინაარსის ზმნებს იკუთხებს: **დანაშაულს ჩაიდენს**, აგრეთვე: **აღიარებს**, **გაიმეორებს**, **(და)ადასტურებს**, **გამოიხყიდის...**; იურიდიული კვალიფიკაციის მიხედვით დანაშაული შეიძლება იყოს: **გამოუხწორებელი**, **მძიმე უნებლიე**, **სისხლის სამართლისა...** და სხვ.

1. **დანაშაული — ბრალი.** **დანაშაულის** სინონიმად ზოგ შემთხვევაში გამოიყენება **ბრალი**: „**ბრალის** ანუ **დანაშაულის** სხვაზე დაბრალება ადამ და ევადან დაიწყოო“ (ანდ.— ქეგლ.); „მე ვარ დამნაშავე ყველაფერში, **ბრალი** მე მაქვს“ (ლ. ქიაჩ.). სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით, **ბრალიც** დანაშაულებრივი მოქმედების მიმართ მოსაუბრის უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველია, ოღონდ **ბრალი** დანაშაულის აღიარების, დადასტურების საშუალება, მისი წინაპირობაა და არა თვით მოქმედების შეფასება. **ბრალს სდებს** ნიშნავს; დანაშაულში ამხელს, **ბრალი მიუძღვის** — დამნაშავეა, დამნაშავედ სცნობენ.

დანაშაულისა და **ბრალის** ასეთმა სემანტიკურმა სიახლოვემ და მათმა ურთიერთგანპირობებულობამ შექმნა უმართებულო შესიტყვე-

ბათა წარმოშობის საფუძველი. კერძოდ, ნაცვლად გამოთქმისა — ბრალი მიუძღვის — დასტურდება შესიტყვება **დანაშაული მიუძღვის**: „ამაში შეუწყნარებელი **დანაშაული** [უნდა იყოს: ბრალი] მიუძღვით სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეობებს, მთელ სოფელს“ („სოფლ. ცხოვრ.“). მიუძღვის აქ სტატიკური სემანტიკის გამომხატველია. ასეთ ზმნებთან ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის სიტყვა **ბრალი**.

2. **დანაშაული — სასჯელი**. სემანტიკურად ასეთივე იუცილებლობით — მიზეზ-შედეგობითი კავშირით არის დაკავშირებული **დანაშაულ-სიტყვასთან სასჯელიც** (შდრ. „დანაშაული და სასჯელი“). **სასჯელი** არის დამნაშავის, დანაშაულის ჩამდენის მიმართ მიღებული ზომა, ანუ ის, რასაც მიუსჯიან დამნაშავეს დანაშაულის საზღაურად. **სასჯელს მოიხდის** ნიშნავს: მისჯილი პატიმრობის განსაზღვრულ ვადას ამოწურავს, დანაშაულის გამო დაკისრებულ იძულებით ღონისძიებებს შესრულებს. სასჯელის დადება დანაშაულითაა გამოწვეული. სასჯელი არის დანაშაულით სამართლებრივად შეპირობებული შედეგი, **დანაშაულ-სასჯელის** ცნებათა შვიდრო ლოგიკურ-სემანტიკურმა კავშირმა განაპირობა **სასჯელისა და დანაშაულის აღრევა მოიხადა** (მოიხდის) ზმნასთან, რომელიც ორპირიანი გარდამავალი ზმნაა და ნიშნავს: მოიძრო, მოიცილა, მოიხსნა. ეს ზმნა იზმარება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით **მოიხადა** ზმნასთან მყარ შესიტყვებას ქმნის სწორედ სიტყვა **სასჯელი**. მაგ.: მან მალე **მოიხადა სასჯელი**, ან: **სასჯელის მოხდის** შემდეგ მალე დაიწყო მუშაობა და მისთ. სამაგიეროდ, არამართებულია **მოიხადა** ზმნასთან **დანაშაულის** დაკავშირება: მოიხდიან არა დანაშაულს, არამედ დანაშაულის გამო დადებულ სასჯელს. შდრ.: „მერი გონიევამ ჩემსავით ოთხჯერ **მოიხადა დანაშაული** [უნდა იყოს: სასჯელი]“ (თბილ.“).

დასახავს, დანახავს. ზმნა **დასახავს** ნიშნავს: წინასწარ შეიმუშავებს ღონისძიებებს, გეგმას და მისთ. და სავალდებულოდ მიიჩნევს მის განხორციელებას: „კოლმეურნეობებში... **სახავენ ღონისძიებებს** წელს მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის“ („კომ.“); „მან დიდმნიშვნელოვანი **ღონისძიებები დასახა** ქვეყნის სამხედრო და ადმინისტრაციული წესწყობილების გაუმჯობესების მიზნით“ („საქ. ისტ.“); „ყრილობამ **დასახა** სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების **გზები**“ („საბჭ. კავშ. ისტ.“)...

მამასადამე, ზმნა **დასახავს**, ისევე როგორც მისი ვნებითის ფორმა **დაისახება**, ჩვეულებრივ, შესიტყვებას ქმნის ისეთ სიტყვებთან, რომლებიც ამა თუ იმ მიზნის მისაღწევ საშუალებას გამოხატავენ, როგორცაა: **ღონისძიება, გეგმა, გზა, ამოცანა** და სხვ. მაგრამ, ჩანს, ყოველთვის არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ზმნის სე-

მანტიკის ეს მხარე და იგი ხშირ შემთხვევაში უკავშირდება ისეთ სახელებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზნის მისაღწევ საშუალებას კი არ გადმოსცემენ, არამედ — თვით მიზანს და ამგვარად ენაში ჩნდება სტილისტიკურად გაუმართავე, უმართებულო სიტყვათშეხამებანი. ასეთებია: „პარტიამ დასახა მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის მტკიცე... კავშირი [უნდა იყოს: პარტიამ დასახა ღონისძიებები მუშათა კლასის მშრომელ გლეხობასთან მტკიცე კავშირის დასამყარებლად]“ („ისგ სკოლაში“); „მარქსიზმმა არა მარტო დასახა სოციალისტური საზოგადოება, არამედ განსაზღვრა ბრძოლის გზაც [უნდა იყოს: მარქსიზმმა არა მარტო დასახა, არამედ განსაზღვრა კიდევ სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლის გზა]“ („ისგ სკოლაში“); „დაისახება რაიონის შრომითი რესურსების დინამიკა, განაწილება და გამოყენება; რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობა, გამწვანება [უნდა იყოს: დაისახება ღონისძიებები რაიონის შრომითი რესურსების ზრდა-განვითარების, განაწილებისა და გამოყენებისათვის; რაიონული ცენტრისა და სოფლის კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის]“ („საქ. კომ.“).

დასუნა — უსუნა. ამ ზმნებს შორის სემანტიკური სხვაობისა და მათთან შეწყობილი სახელების ბრუნვათა აღრევის შესახებ იხ. დაუნოსა — უუნოსა.

დაუშვებზ ზმნის ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობაა: შესაძლებლად მიიჩნევს, მოითმენს, წინააღმდეგობას არ გაუწევს... უპირატესად — არასასურველ რამეს. ამიტომ ამ მნიშვნელობით იგი, ჩვეულებრივ, უკავშირდება უარყოფითი შინაარსის გამომხატველ სიტყვებს: შეცდომა, დანაკარგები, ჩამორჩენა, დარღვევა, შეშფოთება და სხვ. (დაუშვებს დანაკარგები მოსავლის აღების დღეებში“, — „განთ.“, ეანი...) და ხშირად უარყოფით არ ნაწილაკთან ერთად იხმარება: არ დაუშვებს, რაც ნიშნავს: ნებას არ დართავს, შეუძლებელს გახდის, შეებრძოლება, წინააღმდეგობას გაუწევს... („მხოლოდ ასეთი გრაფიკების განუხრელი დაცვით შეიძლება... რიტმულად ვაწარმოოთ მშენებლობა, არ დავუშვათ იერიშობანა“, — „კომ.“).

დაუშვებზ ზმნისაგან ნაწარმოებია ენებითი გვარის მიმღებობები: დაუშვებელი, ანუ ის, რისი დაშვებაც არ შეიძლება — მიუღებელი, შეუძლებელი („ნორჩი ხეების მოჭრა, ცხადია, დაუშვებელია“, — „კომ.“) და დაშვებული, რაც ნიშნავს: მიღებულს, შესაძლებლად მიიჩნეულს, ნებადართულს, მაგრამ ისევ არასასურველი რამისა („სტადიონებზე, რატომღაც, დაშვებულია უწმინური სიტყვების ხმარება და ლანძღვა-გინება“, — „ლელო“).

დაუშვებს ზმნის აღნიშნული მნიშვნელობა გვიანდელია, ახლად შექმნილი, ხოლო გამოთქმები, რომლებშიც ის ამ მნიშვნელობით გამოიყენება, ძირითადად, კალკებია, უმრავლეს შემთხვევაში — გაუმართლებელი. განსაკუთრებით მიუღებელი და ქართულისათვის შეუფერებელია ისეთი სიტყვათშეხამებანი, რომლებშიც ზმნა **დაუშვებს** დაკავშირებულია საწყისებთან, როგორცაა: დაუშვეს გაჭიანურება, დაუშვეს ჩამორჩენა, დაუშვეს შემცირება, დაუშვეს შესუსტება და სხვ. ასეთი სახელურ-ზმნური შესიტყვეებები უნდა შეიცვალოს ენისათვის უფრო ბუნებრივი — მათი შესატყვისი ზმნებით. იგივე ითქმის ამ რიგის ისეთი გამოთქმების შესახებ, რომლებშიც **დაუშვებს** ზმნას უარყოფითი არ ნაწილაკი ახლავს.

ამის მიხედვით სტილისტიკურად უნდა გაიმართოს შემდეგი წინადადებები: „მათი [პროვიზორების] ზრუნვის საგანია არ დაუშვან განუკითხავი უარის თქმა [უმჯობესია: მათ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მთხოვნელები უარით არ გაისტუმრონ, ან: მთხოვნელებს არ ეთქვათ უარი]“ („სამშ.“); „არ უნდა დაგვშვათ პირის ღრუსა და განსაკუთრებით კბილებს შორის საჭმლის ნარჩენების დაგროვება [უმჯობესია: არ უნდა დავიგროვოთ, ეცვალოთ, არ დაგვიგროვდეს საჭმლის ნარჩენები]“ („ადამ.“); „ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, ცალკეული რაიონების მეცხოველეებს რომ არ დაეშვათ შეუწყნარებელი ჩამორჩენა [უმჯობესია: მეცხოველეები რომ არ ჩამორჩენილიყვნენ, ან: მეცხოველეებს რომ არ ჰქონოდათ ჩამორჩენა]“ („გამარჯვ. გზა“)... „წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები კვლავ უშვებენ მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნას [უნდა იყოს: კვლავ უკანონოდ ითხოვენ სამუშაოდან მუშა-მოსამსახურეებს]“ („საბჭ. სამართ.“); „იგი ვერ ასრულებდა მარგანეცის გამოღების სახელმწიფო დავალებას, მოგების ნაცვლად უშვებდა გადახარჯვას [უნდა იყოს: გადახარჯვა ჰქონდა]“ („ქიათ. მალ.“); „რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებმა... დაუშვეს... მშენებლობათა გაჭიანურება [უნდა იყოს: გააჭიანურეს მშენებლობა]“ („გამარჯვ.“); „უხარისხო კერძების გაცემა-გაყიდვა დაუშვეს... [უნდა იყოს: გასცეს და გაყიდეს უხარისხო კერძები] მაღაზიაში“ („გამარჯვ. გზა“); „მათი უხეში დარღვევები დაუშვეს უფროსკლასელთა სკოლიდან სკოლაში გადაყვანის საქმეში [უნდა იყოს: უხეშად დაარღვიეს... გადაყვანის წესები, დებულებები...]“ („თბილ.“); „მათ აღიარეს, რომ... დაუშვეს კანონით აკრძალული შორსწასული ორსულობის მოშლა [უნდა იყოს: შეწყვიტეს... შორსწასული ორსულობა]“ („თბილ.“); „ხუთი თვის გემის შესრულებაში ჩამორჩენა დაუშვა ამიერკავკასიის რკინიგზამაც [უნდა იყოს: გეგმა ვერ შეასრულა, გეგმის შესრულებაში ჩამორჩა

ამიერკავკასიის რკინიგზაც]“ („კომ.“); „მათი დაუშვებს პროფილაქტიკური მუშაობის შესუსტება [უნდა იყოს: შეასუსტეს მუშაობა] არასრულწლოვანთა შორის“ („თბილ.“); „კოლმეურნეობაში დაუშვებს რძის წარმოების შემცირება [უნდა იყოს: შეამცირეს რძის წარმოება]“ („გამარჯვ. გზა“)...

დაღვრილი ზოგჯერ მცდარად იხმარება **გაღვრილის** ნაცვლად. იხ. **გაღვრილი** — **დაღვრილი**.

დაუნობა — **უუნობა**. ქართულში ყნოსვა-სუნვის აღსანიშნავად არსებობს ამ ძირების შემცველ ზმნათა ორი რიგი: **დაუნობავს** — **უუნობებს**, **დასუნავს** — **უსუნებს**. სემანტიკური თვალსაზრისით მათ შორის გარკვეული ნიუანსური სხვაობაა: უ-ქცევისნიშნაანი ფორმები (უყნოსებს, უსუნებს), ჩვეულებრივ, ადამიანის მოქმედებას აღნიშნავს, — როგორც წესი, შეგნებულ მოქმედებას. ზმნისწინაანი ფორმები კი (განსაკუთრებით — დასუნავს) გამოხატავს ცხოველისათვის დამახასიათებელ მოქმედებას, უკეთ, მისი ინსტიქტის გამოვლენას. აქედან გამომდინარე, ადამიანზე საუბრისას სათანადო ზმნები **უუნობებს**, **უსუნებს** გამოიხსნულ მოქმედებას აღნიშნავს, ცხოველზე საუბრისას კი — უნებლიე, გაუცნობიერებელ მოქმედებას, რამდენადაც დაყნოსვა-დასუნვა ცხოველთა არსებობის წესს განსაზღვრავს (შდრ.: გველის **დასუნულზე** ფეხი დააბიჯა და გაუსივდა: იგულისხმება, რომ გველს საგანგებოდ არ დაუსუნავს; აგრეთვე: „ძალმა თოვლზე ახალი ნაფეხური პატრონისა **დასუნა** და აუჩქარებელი ძუნძულით აედევნა კვალსა“ (ილია).

საერთო ძირის მქონე და სემანტიკურად მსგავსი შინაარსის ზმნები აგებულებით განსხვავებულია დრო-კილოთა პირველ წყებაში (ზმნური სუფიქსებით, ზმნისწინითა და ქცევის ნიშნით), თუმცა სინტაქსური კონსტრუქცია საერთო აქვთ. შდრ.: **დაუნობავს**, **დასუნავს** იგი მას — **უუნობებს**, **უსუნებს** იგი მას.

დრო-კილოთა მეორე სერიაში შესაბამისი ზმნები ფორმით კიდევ უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს: **დაუნობა** — **უუნობა**, **დასუნა** — **უსუნა**. მაგრამ მათი სინტაქსური კონსტრუქციები მკვეთრად იმიჯნება: **უუნობა** (მან), **უსუნა** (მან) ფორმებთან სუბიექტი მოთხრობითში კი დგება, — მსგავსად **დაუნობა**, **დასუნა** ფორმებთან შეწყობილი სუბიექტისა (მან), — მაგრამ მათთან ბრუნვაცვალებადი (პირდაპირი) ობიექტი აღარ ჩანს; **დაუნობა**, **დასუნა** ფორმები კი, ჩვეულებრივ, ორპირიან გარდამავალ ზმნებს წარმოადგენს და ობიექტსაც, ჩვეულებისამებრ, სახელობითში შეიწყობს **დაუნობა**, **დასუნა** (მან იგი).

თარგმნელ მხატვრულ ლიტერატურაში ერთი ძირისაგან ნაწარმოები მსგავსი სემანტიკის ზმნების სინტაქსური კონსტრუქციები ზოგჯერ

ირევა სხვადასხვა სიტყვათშეხამების კომპონენტთა არასწორი კომბინირების შედეგად. მაგ.: „მან ბიჯაკის ლაცკანი ასწია და სალილეში თეთრ ვარდს დაუნოხა [უნდა იყოს: უყნოსა]“ (ნ. ძოწენ., თარგმ.); „ანა მაგიდასთან მივიდა, დასუნა [უნდა იყოს: უსუნა] პურსა და ყველს“ (თ. საყვ., ლ. ტიტვ., თარგმ.). უმართებულო კონსტრუქციები მიღებულა თავისთავად სწორი კონსტრუქციების კონტამინაციის გზით, კერძოდ: დაუნოხა მას (ვარდს) < დაუნოხა ის (ვარდი) + უყნოსა მას (ვარდს); დასუნა მას (ყველს) < დასუნა ის (ყველი) + უსუნა მას (ყველს). მაგრამ ეს სწორი წყვილი კონსტრუქციები მხოლოდ სინტაქსურად არის სწორი, სემანტიკურად კი მოცემულ კონტექსტებში, ზემოთქმულის თანახმად, სწორია ამ წყვილთა მეორე ცალკები: უყნოსა ვარდს, უსუნა პურსა და ყველს.

დაშავება, დაშავებული. ამ სიტყვათა ნაცვლად თანამედროვე ქართულში ხშირად იხმარება, ერთი მხრივ, დაზარალება, დაზარალებული (იხ. დაზარალება — დაზიანება — დაშავება), მეორე მხრივ კი: დაზიანება, დაზიანებული (იხ. დაზიანება — დაშავება).

დაჩმარებით ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება ჩქარა, სწრაფად ზმნისართების ნაცვლად. ამგვარი კონსტრუქციების შესახებ იხ. გაგებით ეკიდება.

დაძაბვით ზმნისართის შემცველი უმართებულო კონსტრუქციების ხმარების შესახებ იხ. გაგებით ეკიდება.

დაძაბული ვნებითი გვარის მიმღობაა და ნიშნავს: რაც დაძაბეს ან დაიძაბა, — დაჭიმული, დაძაგრული; გადატ. გაძლიერებული, ინტენსიური (შრომა, მუშაობა, ბრძოლა); გამწვავებული (ურთიერთობა, ვითარება); გამახვილებული (სმენა, ყურადღება). მაგალითად: „როდემდე უნდა იყოს ასე დაძაბული და დაჭიმული?“ (ა. სულაქ.); „უმარმა ჩამოათვალიერა მათი შეკრული შუბლები და დაძაბული სახეები“ (ვ. ჩეკურ.); „მან... ტვირთით ხელებდამძიმებული ადამიანის დაძაბული ნაბიჯით გაიარა ორმოციოდე მეტრი“ (რ. ინან.); „...დაძაბული და აფორიაქებული, იჭამდე შევეცქვროდი მზეს, სანამ ზღვის მიღმა არ ჩაეშვა“ (გ. ლოჩან.); „ასე დამთავრდა ეს საინტერესო და დაძაბული თამაში“ (ვ. ურჯუმ.); „დაძაბული ურთიერთობა არსებობდა კლდეკარსა და გუგუთს შორის“ (ვ. გამს.).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, დაძაბული (ინტენსიური) მუშაობის ანალოგიით, გავრცელდა სემანტიკურად შეუფერებელი შესიტყვებები: დაძაბული გეგმა, დაძაბული ვალდებულება (დაძაბული დავალება).

ვალდებულება, გეგმა, დავალება შეიძლება იყოს ახალი (ახალმიღებული ან ახალმიცემული), გაზრდილი, რთული, საპასუხისმგებლო...

ხოლო დაძაბული (ინტენსიური) შეიძლება იყოს შრომა, მუშაობა (ბრძოლა) ამ ვალდებულებისა თუ გეგმის შესასრულებლად. სწორი შესიტყვებებია, მაგალითად: „წესტაფონის მუშა და სოფლის ახალგაზრდობამ ახალი, გაზრდილი ვალდებულებები აიღო...“ („ახ. კომ.“). „ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ეს დაძაბული, ინტენსიური მოსამზადებელი მუშაობა ვალდებულების შესასრულებლად“ („ლიტ. საქ.“); „დაძაბულ ბრძოლაში ცდილობდნენ პირველი ადგილისაკენ გზის გაკაფვას კიეველებიც“ („ახ. კომ.“). ვალდებულება, გეგმა (დასახული მიზანი) თვითონ არის დამძაბავი (ადამიანის ენერჯისა, ძალებისა) და არა დაძაბული. ამდენად, აზრობრივად და სტილისტიკურად გაუმართავია შემდეგი წინადადებები:

„აიღეს დაძაბული [უნდა იყოს: გაზრდილი], მაგრამ რეალურ ვალდებულებები“ („საქ. ავტ.“); „ისინი... იღებენ დაძაბულ [უნდა იყოს: გაზრდილ, საპასუხისმგებლო] გეგმებს“ („ახ. კომ.“); „ფოთელებს, როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელს, 1984 წლისათვის დაძაბული [უნდა იყოს: საპასუხისმგებლო, მძიმე] დავალება, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი აკისრიათ“ („კომ.“).

დახმარებით. ზმნისართი დახმარებით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განიშარტება შემდეგი სინონიმური სიტყვებით: შემწეობით, საშუალებით, მეოხებით. იგი ნაწარმოებია საწყისისაგან (დახმარება) მოქმედებითი ბრუნვის -ით ნიშნის დართვით და იხმარება ნათესაობითში დასმული სახელის ან კუთვნილებითი ნაცვალსახელის მომდევნოდ—მსგავსად ცალკე მდგომი თანდებულებისა (მაგ.: მეგობრის დახმარებით, მისი დახმარებით).

ენიდან მთლიანად ამ კონსტრუქციას ეკისრება აღნიშნოს მოქმედების შესრულების ხერხი და საშუალება, წინადადებაში იგი ერთი წევრის — ვითარების გარემოების როლს ასრულებს და, შესაბამისად, უპასუხებს კითხვაზე: როგორ? რა გზით? ამ გარემოებას საგანგებოდ უნდა გავსვას ხაზი, რადგან დახმარებით ზმნისართიანი კონსტრუქცია გარეგნულად შეიძლება დაემთხვეს თავისუფალ შესიტყვებას. ამ შემთხვევაში სიტყვა დახმარებით გამოეყოფა შესიტყვებას და ცალკე წევრის — უბრალო დამატების ფუნქციით აღიჭურვება. შდრ.: მეგობრის დახმარებით (როგორ? რა გზით?) სახლი ავიშენე, და: კმაყოფილი ვარ მეგობრის დახმარებით (რით?).

დახმარებით სიტყვის ამოსავალი ზმნა — ეხმარება — ორპირიანია (ის მას) და სემანტიკურად სულიერთა, ჩვეულებრივ, ადამიანთა ურთიერთობის ამსახველია. ეს კარგად ჩანს ნათესაობითში დასმულ სახელთან დახმარება საწყისის შეხამებისას. მაგ., შესიტყვებაში მეგობრის დახმარება სახელი მეგობარი შეიძლება გავიგოთ სუბიექტადაც და

ობიექტადაც. შდრ.: ყველას სჭირდება მეგობრის დახმარება — ე. ი. მეგობარი (სუბიექტი) რომ დაეხმაროს, და: ყველას ვაღია მეგობრის დახმარება, — ე. ი. მეგობარს (ობიექტს) რომ დაეხმაროს. ასეთი ორ-აზროვნება იმის საბუთია, რომ დახმარება შექცევადი მოქმედებაა და პოტენციურად სუბიექტი შეიძლება აღმოჩნდეს ობიექტის ადგილას და პირუკუ — ობიექტი სუბიექტის ადგილას. მაშასადამე, საწყისთან შეხამებული სახელები ერთგვარი სემანტიკის მქონე, თანასწორუფლებიან სახელებს უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ასეთებია სულიერთა სახელები, რომელთა შორის არსებული ურთიერთობის ამსახველიცაა ზმნა ეხმარება და მისი საწყისური ფორმა დახმარება.

რაც შეეხება დახმარებით ზმნისართიან კონსტრუქციას, მისი მნიშვნელობა უფრო ცალსახაა: ნათესაობითში დამხული სახელი მხოლოდ სუბიექტის მონაცვლედ, მის ეკვივალენტად წარმოდგება, ობიექტად იგი აღარ ივარაუდება. მაგ., წინადადება — „იაზონმა მეღვას დახმარებით მოიტაცა ის ვერძი“ (აკაკი) — იგივეა, რაც: მეღვა (სუბიექტი) დაეხმარა იაზონს ვერძის მოტაცებაში.

თვით იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეხმარება პირიანი ზმნის სუბიექტ-ობიექტად გამოყენებულია გარეგნულად უსულო სახელების აღმნიშვნელი სახელები, სინამდვილეში სულიერთა სახელებზეა მსჯელობა. მაგ., ფრაზაში — მეცნიერება ეხმარება სკოლას — მეცნიერებაც და სკოლაც ადამიანთა გარეშე არ წარმოიდგინება, ანდა მეტაფორულად გააზრებულ კონტექსტთან გვაქვს საქმე. მაგ.: მხატვრული ხერხები ეხმარება მწერალს სათქმელის უკეთ გამოხატვაში.

საერთოდ კი უსულოთა სახელებთან უფრო შესაფერისია სხვა ზმნისართების ხმარება. ესენია: საშუალებით, მეშვეობით, გამოყენებით, გზით. მაგ.: „პაერი [ფილტვებიდან] ზევით ამოდის სასულისა, ცვირისა და პირის საშუალებით“ (ი. გოგებ.).

აღსანიშნავია, რომ, თუ ქეგლ-ში დახმარებით განიმარტება, სხვა სინონიმებთან ერთად, საშუალებით ზმნისართითაც, პირუკუ — ამ უკანასკნელის სინონიმებით განმარტებისას დახმარებით ზმნისართი არ ჩანს. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დახმარებით და საშუალებით თავისუფლად ვერ მონაცვლეობენ ერთმანეთთან: საშუალებით უფრო ფართო მნიშვნელობის მქონეა, ვიდრე დახმარებით. კერძოდ, საშუალებით და მეშვეობით სულიერთა სახელებთანაც იხმარება: ჩემი მეშვეობით, შენი საშუალებით. მაგ.: „მეფე და მემამულეები ეკლესიისა და ხუცების საშუალებით რუსეთის ხალხებს... უმეცრებაში ამყოფებდნენ“ („საბჭ. კავშ. ისტ.“).

გზით ზმნისართი განსაკუთრებით ხშირად იხმარება ნათესაობითში დასმული საწყისის შემდეგ: „პიბრიდები მიღებულა... შეჯვარების გზით“.

სწორედ ამის გამო ქართულში არაბუნებრივად ყდერს უსულოთა სახელებთან შეხამებული **დახმარებით** შემდეგ წინადადებებში: „და-ნერგილია მოსახლეობასთან კოოპერირების სისტემაც, წელს მისი და-ხმარებით [სწორია: გამოყენებით, ან: საშუალებით] სახელმწიფოს სამ ტონამდე საქონლის ხორცს მიჰყიდიან“ („კომ.“); „წელს... პლანტა-ციებში მუშაობდა ცხრაასზე მეტი ჩაის საკრეფი მანქანა, დიდძალი ხელის აპარატი. მათი დახმარებით [სწორია: საშუალებით, ან: გამოყე-ნებით] სეზონში მოკერიფეთ ასი ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი“ („კომ.“). შდრ.: საგაზეთო სტატიის სათაური: „ელექტრონულ-გამომ-თვლელი მანქანების დახმარებით“ და იქვე, ტექსტში: „ელექტრო-ნულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით მიმდინარეობდა საქმიანი თამაში...“ („თბილ.“).

დახმარებით და **საშუალებით** ზმნისართების დაახლოება-აღრვეი-სათვის ხელი უნდა შეეწყოს რუსულის ანალოგიასაც: **საშუალებით** ხში-რად ითარგმნება არა მხოლოდ როგორც *посредством*, არამედ, აგ-რეთვე, **დახმარებით** სიტყვის პირდაპირი თარგმნის გზით: с помощью ან при помощи. მაგ., წინადადება — „სიტყვა იწარმოება აფიქსების საშუალებით“ (ან: მეშვეობით, ანდა: აფიქსებით) — რუსულად ასე ითარგმნება: слово образуется при помощи аффиксов.

მაშასადამე, უსულოთა სახელებთან **დახმარებით** ზმნისართის ხმა-რება შეიძლება შეფასდეს, როგორც უკუსაგდები კალკი, და მის ნაც-ვლად უპირატესობა მიეცეს ზმნისართს **საშუალებით**, ცალკეულ შემ-თხვევებში, აგრეთვე — **მეშვეობით**, **გამოყენებით** და **გზით** ზმნისარ-თებს.

დებიუტი, დებიუტანტი, სიტყვა **დებიუტი** ფრანგულიდან მომ-დინარეობს (début). მისი ძირითადი მნიშვნელობა დაკავშირებულია თეატრთან; აღნიშნავს მსახიობის პირველ გამოსვლას სცენაზე: „მან მარშან დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი და ეს როლი მისი **დებიუტია**“ („ახ. კომ.“); „დადგმა მით უფრო საინტერესო იყო, რომ ამ წარმოდგენით შედგა ჩვენი ბევრი ცნობილი თეატრალური მოღვაწის **დებიუტი** ტრაგედიის სცენურ ხორცშესხმაში“ („თბილ.“).

წიგნურ ენაში სიტყვა **დებიუტი** იხმარება გადატანითაც და აღნი-შნავს საერთოდ სამოქმედო ასპარეზზე პირველად გამოსვლას: „ანა კა-ლანდაძის „რჩეული“ გამოიცა მისი **ლიტერატურული დებიუტიდან** ზუსტად 30 წლის შემდეგ“ („ლიტ. საქ.“); „აი, როგორ შეეგება პოე-

ტის **სამწერლო დებიუტს** დიდი ქართველი პედაგოგი და საყმაწვილო ლიტერატურის კლასიკოსი ი. გოგებაშვილი“ („ლიტ. საქ.“).

დებიუტის დასახელებული მნიშვნელობა ამოსავალია **დებიუტანტ-სიტყვისათვის**, რომელიც თანამედროვე ქართულში ხშირად გამოიყენება (ფრანგ. *débutant*) დამწყებობის, სცენაზე პირველად გამომსვლელის ან საერთოდ სამოქმედო ასპარეზზე პირველად გამომსვლელის აღსანიშნავად: „ჩემს წინაშე თითქოს ისევ **დებიუტანტი** იდგა“ („ლიტ. საქ.“); „**დებიუტანტმა** მილოცვა ისე მიიღო, თითქოს მე ამ საქმეში არავითარი წილი არ მედო“ (ს. კლდ.“); „რაც უფრო დიდია **დებიუტანტის** ბედზე მზრუნველი მწერლისა და რედაქტორის ავტორიტეტი, მით უფრო კეთილნაყოფიერია მათი გავლენა ახალგაზრდის შემოქმედებაზე“ („ლიტ. საქ.“)... ჩვეულებრივია **დებიუტანტი** დამწყები პოეტის ან მწერლის აღსანიშნავად.

დებიუტი იქცა ჰადრაკის ტერმინადაც და აღნიშნავს ჰადრაკის თამაშის დროს პირველ სვლებს, თამაშის დასაწყისს: „მეშვიდე პარტიაში იოსელიანმა თეთრებით მეტად **იშვიათ დებიუტს** მიმართა“ („კომ.“); „ისევე, როგორც **სხვა დებიუტებში**, რიბლი აქაც ჩინებულად მომზადებული აღმოჩნდა“ („კომ.“) და მისთ.

ამ უკანასკნელი მნიშვნელობით (=დასაწყისი) სიტყვა **დებიუტი** შევიდა სპორტის ენაშიც. ამიტომაც, რომ სპორტული მიმომხილველები ამ უკანასკნელ ხანს შეჯიბრების დასაწყისი ეტაპის აღსანიშნავად ხშირობენ **დებიუტს**, ხოლო დამწყები სპორტსმენის აღსანიშნავად — **დებიუტანტს**: „**„კალათბურთელების” შეხვედრის დებიუტში** ამ ორი გიგანტის პაექრობა კიეველის ოდნაეი უპირატესობით წარიმართა“ („თბილ.“); „ფენონენალური მიღწევით აღინიშნა მსოფლიო ჩემპიონატის **დებიუტანტის** ივანჩენკოს გამოსვლა“ („კომ.“); „უურნალი „სმენა“ მეშვიდეჯერ ასახელებს **სეზონის საუკეთესო დებიუტანტებს**“ („კომ.“); „ნინო გურიელი მეთორმეტე ტურში მოულოდნელად დამარცხდა **პირველობის დებიუტანტთან** ეიდელსონთან“ („კომ.“).

დებიუტ-და დებიუტანტ- სიტყვების ასეთი გაფართოებული მნიშვნელობით გამოყენება ემყარება ტრადიციულ მნიშვნელობას და ამიტომ მათ ვერ აგვრძალავთ, თუმცა ერთგვარი შეზღუდვა მაინც საჭიროა, რადგან მეტისმეტად გატაცებამ უსულო საგნების მიმართ ამ სიტყვების ხმარებით შეიძლება აზრობრივად უხერხული შესიტყვებები შექმნას: „**რუბრიკის დებიუტი**“ („კომ.“) ნიშნავს მხოლოდ ახალ რუბრიკას; „**დებიუტანტი ტურნირი**“ („კომ.“) იხმარება ახლად დაწყებული ტურნირის აღსანიშნავად და ა. შ.

დებიუტ- და **დებიუტანტ-** სიტყვების გამოყენებისას შეიძინება სხვა სახის გადახრაც: ზოგჯერ დავიწყებულია ამ სიტყვათა ძირითადი

ლექსიკური მნიშვნელობიდან პირველის სემანტიკა (დებიუტი — პირველი გამოსვლა, დებიუტანტი — პირველად გამომსვლელი) და მსაზღვრელად უხმარიათ პირველი. პირველი დებიუტი ტავტოლოგიური შესიტყვებაა და უვარვისია სალიტერატურო ენის თვალსაზრისით: „იმავე 1880 წლის 25 ივნისს სამშობლო სცენაზე პირველივე დებიუტით საზოგადოების ყურადღება მიიპყრო“ (ა. ცამც.).

დებიუტ- სიტყვასთან მსაზღვრელებად არ შეიძლება ვიხმაროთ რიგობითი რიცხვითი სახელები: პირველი (ტავტოლოგიურ შესიტყვებას ქმნის), მეორე... ასევე — ბოლო (აზრობრივი შეუსაბამობის გამო).

დიდი; დიდად. ზედსართავი სახელი დიდი ერთ-ერთი უაღრესად პროდუქტიული და ხშირად ხმარებული მსაზღვრელი სიტყვაა თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. ამ ზედსართავის გავრცელებულობას ხელს უწყობს, უწინარეს ყოვლისა, მისი პოლისემიურობა: დიდი აღნიშნავს ჩვეულებრივზე მეტს ზომით, მოცულობით, ტეიადობით, სიერციით (დიდი ხე, დიდი ბინა, დიდი მინდორი,...); ჩვეულებრივზე მეტს თავისი ძალით, სისწრაფით, სულიერი განცდით, ზეგავლენით (დიდი ქარიშხალი, დიდი სიყვარული, დიდი შთაბეჭდილება...); იგი ენაცვლება ზედსართავებს: ფართო, ვრცელი, შესამჩნევი, მნიშვნელოვანი, საყურადღებო, ანგარიშგასაწევი და მისთ. (დიდი ცოდნა, დიდი გამარჯვება, დიდი ამბები...); აღნიშნავს რაოდენობით მეტს, ბევრს, დიდძალს, მრავალრიცხოვანს (დიდი ფული, დიდი ჭარი, დიდი ნათესაობა); მიუთითებს დროის ხანგრძლივობაზე (დიდი ხანი, დიდი დრო, დიდი შუალედი) და სხვ. ასე მრავალი მნიშვნელობით ამ ზედსართავის ხმარებამ სალიტერატურო ენაში ბოლო დროს გამოიწვია მისი სემანტიკის გაბუნდოვანება, ერთგვარი გაცვეთა. ამის გამო დღეს მხატვრული ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, პრესის ენაში იშვიათად როდი შეგვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ზედსართავი შესიტყვებაში უმართებულოდ გამოიყენება მისგან სემანტიკურად საკმაოდ დაშორებული სხვა ზედსართავების ნაცვლად, როგორცაა: მაღალი, ბევრი, გადამწყვეტი, ავტორიტეტული, მნიშვნელოვანი, დიდმნიშვნელოვანი, განსაკუთრებული... და ამიტომ მსაზღვრელად ახლავს მისთვის სრულიად შეუფერებელ სახელებს. ასეთი შემთხვევებია: „საბჭოთა მწერლების შემოქმედებას არაერთგზის დაუმსახურებია ხალხისა და პარტიის დიდი შეფასება [უნდა იყოს: დიდი დაფასება, ან: მაღალი შეფასება]“ („ლიტ. საქ.“); „ამ საქმეში თავისი დიდი [უნდა იყოს: გადამწყვეტი, ან: ავტორიტეტული] სიტყვა უნდა თქვას ქალაქის ინტელიგენციამ“ („ახ. კომ.“); „სახალხო განათლების შემდგომი განვითარების დიდი [უნდა იყოს: მნიშვნელოვანი, ან: სერიოზული] საკი-

დაში, მისდაში, ჩვენდაში, თქვენდაში, მათდაში). დადგენილია, რომ წარმომავლობის თვალსაზრისით -მი თანდებული და -მი ზმნისწინი ერთია როგორც მასალობრივ, ისე ფუნქციურად (ი. შანიძე). -მი თანდებულისანი სახელები ძირითადად სახელურ — საწყისებითა და მიმღებებით შედგენილ — კონსტრუქციებში იღებენ მონაწილეობას. სწორედ ამგვარ კონსტრუქციათა სირთულითაა გამოწვეული მეტი წილი იმ დარღვევებისა, რომლებიც -მი თანდებულის გამოყენებისას შეინიშნება ენაში.

ზმნებს უყვარს, სძულს, სწამს, პატივს სცემს, ხელმძღვანელობს (ხელმძღვანელობას უწევს), ემსახურება, სუბიექტის გარდა, ობიექტიც შეეწყობა. სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, ობიექტი — მიცემითში (ის პატივს სცემს, ხელმძღვანელობს, ემსახურება მას) ან, ინვერსიულ ზმნებთან: რეალური სუბიექტი — მიცემითში, რეალური ობიექტი — სახელობითში (მას უყვარს, სძულს, სწამს ის). შესაბამის საწყისებთან (სიყვარული, სიძულვილი, რწმენა, პატივისცემა, ხელმძღვანელობა, სამსახური) შესიტყვების წევრად სათანადო ზმნის პირთან შეწყობილ სახელთაგან შეიძლება შეგვხვდეს ერთ-ერთი — სუბიექტი ან ობიექტი, ან კიდევ ორივე ერთად — სუბიექტიცა და ობიექტიც. საწყისთან დაკავშირებული ერთი სახელი უთანდებულო ნათესაობითში დგას განურჩევლად იმისა, სუბიექტი იყო ის თუ ობიექტი; როცა საწყისთან ერთდროულად ორი სახელია დაკავშირებული, ერთი (ყოფილი სუბიექტი) უთანდებულო ნათესაობითში დგას, ხოლო მეორე (ყოფილი ობიექტი) -მი თანდებულიან ნანათესაობითარ ვითარებითში.

სიყვარულის ჯგუფის საწყისების მსგავს სინტაქსურ კონსტრუქციებს ქმნის სახელები ერთგულება და შიში.

1. საწყისთან დაკავშირებული სახელი სუბიექტია (ის, ვისაც უყვარს, სძულს, სწამს; ვინც პატივს სცემს, ხელმძღვანელობს, ემსახურება). მაგ.: ხალხის სიყვარული, მახლობელთა სიყვარული, სოფლის სიძულვილი, ამხანაგების პატივისცემა, პარტიის ხელმძღვანელობა, დედენის სამსახური, მშობლების შიში ასეთ კონტექსტებში: „დაე, არასოდეს მოპკლებოდეს მას თავისი ხალხის სიყვარული“ („სოფლ. ცხოვრ.“); „უმთავრესი ხომ მახლობელთა სიყვარული და სიტბოა. მოხუცებს იგი ისევე სჭირდებათ, როგორც ბავშვებს“ („კომ.“); „ამიერიდან სოფლის სიძულვილი ისაგზლოს“ („თბილ.“); „გამრჯე ქალიშვილმა მალე დაიმსახურა ამხანაგების... პატივისცემა“ („თბილ.“); „ჩვენმა ხალხმა... არნახულ წარმატებებს მიაღწია მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით“ („კომ.“); „[უცხო ენა] ვერასოდეს გაუწევს დედა-ენის სამსახურს კაცის აზროვნებასა და გრძნობას“ (ი. გო-

დაში, მისდაში, ჩვენდაში, თქვენდაში, მათდაში). დადგენილია, რომ წარმომავლობის თვალსაზრისით -ში თანდებული და -ში ზმნისწინი ერთია როგორც მასალობრივ, ისე ფუნქციურად (ი. შანიძე). -ში თანდებულისანი სახელები ძირითადად სახელურ — საწყისებითა და მიმღებებით შედგენილ — კონსტრუქციებში იღებენ მონაწილეობას. სწორედ ამგვარ კონსტრუქციათა სირთულითაა გამოწვეული მეტი წილი იმ დარღვევებისა, რომლებიც -ში თანდებულის გამოყენებისას შეინიშნება ენაში.

ზმნებს უყვარს, სძულს, სწამს, პატივს სცემს, ხელმძღვანელობს (ხელმძღვანელობას უწევს), ემსახურება, სუბიექტის გარდა, ობიექტიც შეეწყობა. სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, ობიექტი — მიცემითში (ის პატივს სცემს, ხელმძღვანელობს, ემსახურება მას) ან, ინვერსიულ ზმნებთან: რეალური სუბიექტი — მიცემითში, რეალური ობიექტი — სახელობითში (მას უყვარს, სძულს, სწამს ის). შესაბამის საწყისებთან (სიყვარული, სიძულვილი, რწმენა, პატივისცემა, ხელმძღვანელობა, სამსახური) შესიტყვების წევრად სათანადო ზმნის პირთან შეწყობილ სახელთაგან შეიძლება შეგვხვდეს ერთ-ერთი — სუბიექტი ან ობიექტი, ან კიდევ ორივე ერთად — სუბიექტიცა და ობიექტიც. საწყისთან დაკავშირებული ერთი სახელი უთანდებულო ნათესაობითში დგას განურჩევლად იმისა, სუბიექტი იყო ის თუ ობიექტი; როცა საწყისთან ერთდროულად ორი სახელია დაკავშირებული, ერთი (ყოფილი სუბიექტი) უთანდებულო ნათესაობითში დგას, ხოლო მეორე (ყოფილი ობიექტი) -ში თანდებულის ნანათესაობითარ ვითარებითში.

სიყვარულის ჯგუფის საწყისების მსგავს სინტაქსურ კონსტრუქციებს ქმნის სახელები ერთგულება და შიში.

1. საწყისთან დაკავშირებული სახელი სუბიექტია (ის, ვისაც უყვარს, სძულს, სწამს; ვინც პატივს სცემს, ხელმძღვანელობს, ემსახურება). მაგ.: ხალხის სიყვარული, მახლობელთა სიყვარული, სოფლის სიძულვილი, ამხანაგების პატივისცემა, პარტიის ხელმძღვანელობა, დედენის სამსახური, მშობლების შიში ასეთ კონტექსტებში: „დაე, არასოდეს მოპკლებოდეს მას თავისი ხალხის სიყვარული“ („სოფლ. ცხოვრ.“); „უმთავრესი ხომ მახლობელთა სიყვარული და სიტბოა. მოხუცებს იგი ისევე სჭირდებათ, როგორც ბავშვებს“ („კომ.“); „ამიერიდან სოფლის სიძულვილი ისაგზლოს“ („თბილ.“); „გამრჯე ქალიშვილმა მალე დაიმსახურა ამხანაგების... პატივისცემა“ („თბილ.“); „ჩვენმა ხალხმა... არნახულ წარმატებებს მიაღწია მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით“ („კომ.“); „უცხო ენა ვერასოდეს გაუწევს დედა-ენის სამსახურს კაცის აზროვნებასა და გრძნობას“ (ი. გო-

გებ.); „მშობლების შიში გამართლდა — მალე ბიჭმა სწავლაზე გული აიცრუა“ („ახ. კომ.“).

ასევე იქნება: **ხალხის რწმენა, ძალის ერთგულება...**

2. საწყისთან დაკავშირებული სახელი ობიექტია (ის, ვინც ან რაც უყვართ, სძულთ; რაც სწამთ; ვისაც ან რასაც პატივს სცემენ, ხელმძღვანელობენ, ემსახურებიან). მაგ.: **ხალხის სიყვარული, ქვეყნის სიყვარული, მანკიერების სიძულვილი, სტუმრის პატივისცემა, ბრიგადის ხელმძღვანელობა, ხალხის სამსახური, საქმის ერთგულება, მგლის შიში** ასეთ კონტექსტებში: „უდროოდ დაიფერფლა ხალხის სიყვარულით ამღვრებული გული“ („საქ. ქალი“); „შთაბგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“ (ილია); „მშობლიური ქვეყნის, მისი ცისა და მიწის სიყვარული ოდნავადაც ვერ გაანელა... მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების ხილვამ“ („სოფლ. ცხოვრ.“); „დედამ ასწავლა პირდაპირობა, სიკეთის სიყვარული, სიძულვილი მანკიერებისა“ („საქ. ქალი“); „სტუმრის პატივისცემა ჩვენს ხალხს სხვაგვარად ესმოდა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „სრულიად ახალგაზრდას... ბრიგადის ხელმძღვანელობა მიანდეს“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ხელოვნება — ხალხის სამსახურში“ („კომ.“ — სათ.); „სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი გეკურთხოს ზენამა“ (ვაჟა); „იოთამი ვერც საქმის ერთგულებით დაიკეხნილა“ („მნათ.“); „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“ (ანდ.).

ასევე იქნება: **უკეთესი მომავლის, ხვალისდელი დღის რწმენა.**

3. საწყისთან ერთდროულად დაკავშირებულია სუბიექტიცა და ობიექტიცა. -მი თანდებულნიანი ფორმა ობიექტისათვის ასეთ წინადადებებში ერთადერთი შესაძლებელი და, ამდენად, მართებული ფორმაა. ასეთი შემთხვევები ენაში იშვიათია, ძირითადად სიტყვა სიყვარულით შედგენილი შესიტყვებები გვხვდება. მაგ.: **ხალხის სიყვარული პოეზიისადმი, ხალხის სიყვარული თქვენდამი, ჩემი სიყვარული თქვენდამი, მისი სიძულვილი ჩემდამი: „ყოველივე ამან დიდად შეუწყობ ხელი პაფეზის პოეზიისადმი ხალხის სიყვარულს“ („ცისკ.“); „ამ დებეშებში გამოხატულია ხალხის გულწრფელი, დიდი სიყვარული თქვენდამი და თქვენი საქმისადმი“ („კომ.“); „თავის სიყვარულს პოეზიისადმი მეგობრების ლექსებით იჭარებდა“ („ლიტ. საქ“); „სიყვარული ჩემი თქვენდამი მაკადნიერებს“ (ი. მაჩაბ., თარგმ.); „ჩემდამი მის სიძულვილმა, გზდავ, დღითი-დღე იმატა“ (ვაჟა); „ოჯახისადმი ქალიშვილის ერთგულებამ მისი მშობლები ჩემთან სიყვარულით დააკავშირა“ („თბილ.“).**

ასეთივე შესიტყვებებია: **დედის სიყვარული შვილისადმი და შვილის სიყვარული დედისადმი** (ასე ამბობენ, როცა რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაზეა საუბარი, საერთოდ დედა-შვილის სიყვარულის,

დედა-შვილის ურთიერთობის შესახებ საუბრისას დედაშვიდური სიყვარული ითქმის), ხალხის სიყვარული ქვეყნისადმი და სხვ.

ასე რომ, სიტყვათშეხამებებს ხალხის სიყვარული (სადაც ხალხი სუბიექტია), სამშობლოს სიყვარული (სადაც სამშობლო ობიექტია) და ხალხის სიყვარული სამშობლოსადმი ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ნორმატიული ხასიათი აქვს.

ყოველდღეობას იქცევს სამშობლოს სიყვარულის ტიპის, ე. ი. ობიექტიანი შესიტყვებები, რადგან სწორედ ისინი გვიჩვენებენ სალიტერატურო ენის ნორმათაგან გადახრას.

როცა საწყისთან შესიტყვების წევრად ერთი სახელი გვაქვს (სუბიექტი ან ობიექტი), ეს სახელი უთანდებულო ნათესაობითის ფორმით არის წარმოდგენილი. კონტექსტი, როგორც წესი, ყოველთვის იძლევა საწყისთან ნათესაობითში დასმული ორი სხვადასხვა ფუნქციის მქონე სახელის (სუბიექტისა და ობიექტის) განსხვავებისა და, შესაბამისად, აზრის სწორად გაგების შესაძლებლობას. და მაინც, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არის ცდა იმისა, რომ ეს სახელები ფორმით ერთმანეთისაგან გაირჩეს, უფრო ზუსტად იქნეს გამოხატული ობიექტი, რომელსაც მიემართება მოქმედება. ის ფაქტი, რომ ენაში -მი თანდებულისანი ფორმა არსებობს ობიექტისათვის ხალხის სიყვარული სამშობლოსადმი ტიპის შესიტყვებების სახით, საფუძველს ქმნის სამშობლოსადმი სიყვარული-ის გაგრცელებისათვის. ამ მოვლენას ენაში, თავის მხრივ, ხელს უწყობს აგრეთვე სათანადო რუსული წინდებულისანი შესიტყვება (любить к родине). საწყისთან ობიექტად გამოყენებულ სახელებს (აბსოლუტური უმრავლესობა კონტექსტებისა კი საწყისთან შესიტყვების წევრად სწორედ ობიექტს ითხოვს), მათთვის ობიექტობის ხაზგასასმელად, -მი თანდებული ერთვის, რაც უთანდებულო ნათესაობითთან ერთად ენაში მოცილვე ფორმებს ქმნის. მაგალითად, გვაქვს ასე: სამშობლოს სიყვარული და სამშობლოსადმი სიყვარული; მტრის სიძულვილი და მტრისადმი სიძულვილი; ხსოვნის პატივისცემა და ხსოვნისადმი პატივისცემა; ჭარბის ხელმძღვანელობა და ჭარბისადმი ხელმძღვანელობა; ხალხის სამსახური და ხალხისადმი სამსახური; საქმის ერთგულება (ერთგული) და საქმისადმი ერთგულება (ერთგული); სიმაღლის შიში და სიმაღლისადმი შიში; მომავლის რწმენა და მომავლისადმი რწმენა.

აქაც ძირითადად სიტყვა სიყვარულის შემცველი შესიტყვებები გვხვდება, რადგან სიყვარული სემანტიკურად გაცილებით უფრო მეტ სახელს იგუებს შესიტყვების წევრად, ვიდრე ზემოთ წარმოდგენილი სხვა რომელიმე სახელი.

თანდებულთან ფორმებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ უთანდებულო ფორმებს, როგორც ბუნებრივსა და სალიტერატურო ენაში გაბატონებულს. ეს წესი გამოჩნდა გარეშე გავრცელებულა თბილისად გამოყენებულ უსულო საგნის სახელებზე. ხოლო თბილისად აღამიანის სახელების ან პირის ნაცვალსახელების გამოყენებისას, თუკი კონტექსტი ორაზროვნების თავიდან აცილების შესაძლებლობას არ იძლევა, უპირატესობა თანდებულთან ფორმებს უნდა მიეცეს. შდრ.:

სიყვარული: „სიყრმიდანვე ჰქონდა გულში ჩანერგილი ქართული კულტურისადმი, პოეზიისა და ხელოვნებისადმი [უნდა იყოს: კულტურის, პოეზიისა და ხელოვნების] სიყვარული“ („ლიტ. საქ.“); „სამშობლოსადმი [უნდა იყოს: სამშობლოს] სიყვარულმა დაძლია უცხოური გავლენა“ („თბილ.“); „[აქ] ლაპარაკი იყო გმირობაზე, სიმამაცეზე, სამშობლოსადმი [უნდა იყოს: სამშობლოს] სიყვარულზე“ („სოფლ. ცხოვრ.“); „საქმისადმი [უნდა იყოს: საქმის] სიყვარულით რაიონში მალე გაითქვა სახელი“ („კომ.“).

უთანდებულო ნათესაობითი გვექნება აღამიანის აღმნიშვნელი სახელებიც: მახლობლის, მოყვასის, მოკეთის, აღამიანის... სიყვარული. მაგ.: „ვილაპარაკოთ მოძმის, მეზობლის, თანამოსაქმის, თუნდაც უბრალოდ გზად შემოხვედრილი კაცის სიყვარულზე, აღამიანის სიყვარულზე“ („კომ.“). მაგრამ თანდებულთან ფორმები აუცილებელია ასეთ კონტექსტებში: „ეს არ არის შაჰისადმი უანგარო სიყვარულით ნაკარნახევი“ („თბილ.“); „მომღერლის ხმაში თავიდანვე ნათლად აისახა კავარადოხისადმი თავდაგვიწყებული სიყვარული“ („კომ.“); „ათასობით აღამიანი ფეხზე ამდგარი მიესალმება საყვარელ პოეტს, რითაც გამოხატავს მისადმი სიყვარულს“ („კომ.“); „როცა მეგობრები ჩვენს გვერდით არიან, თითქოს ნაკლებად ვგრძნობთ მათადმი სიყვარულს“ („ლიტ. საქ.“).

ბოლო დროს სალიტერატურო ენაში შეაყვარა ზმნური ფორმის ხარჯზე გამოყენების არეს იფართოებს გამოთქმა სიყვარული ჩაუნერგა. დაუდევარი ხმარების გამო ეს გამოთქმა კარგავს ემოციურობას და შტამპად იქცევა. მაგალითად: „მუსიკისადმი სიყვარული დედამ ჩაუნერგა“ („ლიტ. საქ.“); „სკოლის ასაკის ბავშვებს საჭიროა ჩავუნერგოთ სპორტისადმი სიყვარული“ („სოფლ. ცხოვრ.“). აჯობებდა ასე: მუსიკა დედამ შეაყვარა; სკოლის ასაკის ბავშვებს სპორტი უნდა შეეყვარათ.

სიძულვილი: „მაშინ ჩაიღო გულში აღამიანებისადმი [უნდა იყოს: აღამიანების] სიძულვილი“ („საქ. ავტ.“). „მტრისადმი [უნდა

იყოს: მტრის] **სიძულვილი** რომ არა, ამ გაჭირვებას რა გადამატანი-
ნებდა“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ეს სიტყვები ამხნეებდნენ საბჭოთა მე-
ომრებს, ძალას ანიჭებდნენ მათ, უძლიერებდნენ **მტრისადმი** [უნდა
იყოს: მტრის] **სიძულვილს**“ („თბილ.“).

პატივისცემა: „ეს გვეხმარება მოსახლეობა აღვზარდოთ **კანონი-
სადმი**, საბჭოთა **მართლწესრიგისადმი**, სოციალისტური... ცხოვრების
წესისადმი [უნდა იყოს: **კანონის**, **მართლწესრიგის**, **წესის**] **პატივის-
ცემის** სულისკვეთებით“ („თბილ.“); „**განსვენებულისადმი** უდიდესი
პატივისცემის ნიშნად [აჯობებდა ასე: განსვენებულის **პატივისაცემად**]
აქ მოვიდნენ დედაქალაქის... მშრომელები“ („კომ.“). ასევე უნდა
იყოს: **წარსულის**, **აღათ-წესების**, **წინაპართა ხსოვნის** **პატივისცემა** და
სხვ.

ხელმძღვანელობა: „გონი არ დამიკარგავს და **ჭარებისადმი** [უნდა
იყოს: **ჭარების**] **ხელმძღვანელობას** განვაგრძობდი“ („ლენინელი“);
„მისი მხედართმთავრული ნიჭი, **ჭარებისადმი** [უნდა იყოს: **ჭარების**]
ოსტატური **ხელმძღვანელობის** უნარი კიდევ უფრო მკვეთრად გამო-
ვლინდა... ბრძოლებში“ („თბილ.“); „მაშინ განეთის ფურცლებზე წე-
რილებით გამოვიდნენ... ისინიც, ვისაც უშუალოდ ეხება ბუნების და-
ცვისადმი [უნდა იყოს: **დაცვის**] **ხელმძღვანელობა**“ („ლიტ. საქ.“);
„**მეურნეობისადმი** [უნდა იყოს: **მეურნეობის**] **ხელმძღვანელობა** პარ-
ტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა“
 („სოფლ. ცხოვრ.“); „ცენტრალურ საკონტროლო კოლეგიას ეკისრე-
ბოდა ჩვენს ქვეყანაში კონტროლის ორგანოების **საქმიანობისადმი**
[უნდა იყოს: **საქმიანობის**] **ხელმძღვანელობა**“ („თბილ.“); „ლატვიის
სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის **ორგანოებისადმი** [უნდა
იყოს: ორგანოების] **პარტიული ხელმძღვანელობის** შესახებ“ („კომ.“).

სამსახური: „**ხალხისადმი** [უნდა იყოს: **ხალხის**] **სამსახური**“
(კომ.“ — სათ.); „მშობლიურ სოფელში დაბრუნებულმა **ხალხისადმი**
[უნდა იყოს: **ხალხის**] **სამსახური** დაისახა მიზნად“ („სოფლ. ცხოვრ.“);
„**ქვეყნისადმი** [უნდა იყოს: **ქვეყნის**] **სამსახურით** ანთებული მისი
გული...“ („ასპ.“); „**კეთილშობილური მიზნებისადმი** [უნდა იყოს: **მი-
ზნების**] **სამსახური**“ („კომ.“ — სათ.).

ერთგულება (ერთგული): „გულითადი მადლობა გადაუხადა...
ჩვენს ხალხს... პარტიის **საქმისადმი**, კომუნისტების **საქმისადმი** [უნდა
იყოს: **საქმის**] **ერთგულებისათვის**“ („ლიტ. საქ.“); „წიგნი პატარებს
სამშობლოსადმი [უნდა იყოს: **სამშობლოს**] **ერთგულებას** ასწავლის“
 („სახ. გან.“); „რაც უფრო მეტი გვეყოლება... **ხალხის საქმისადმი**
[უნდა იყოს: **საქმის**] **ერთგული** ადამიანები, მით უფრო ძლიერი იქ-
ნება ჩვენი **ქვეყანა**“ („საქ. აგიტ.“).

შიში: „საკვებში ვიტამინ B₂ ნაკლებობა იწვევს სინათლისადმი [უნდა იყოს: სინათლის] შიშს“ („თბილ.“); „ამის შემდეგ წყლისადმი [უნდა იყოს: წყლის] შიში იგრძნო“ („თბილ.“); შღრ.: „ხვალინდელი დღის შიში“ („თბილ.“); „სიმაღლის შიში“ („კომ.“).

რწმენა: „თუ წარმოიშვა მერყევი რწმენა საკუთარი ძალების უკმარისობისადმი [უნდა იყოს: უკმარისობისა], მაშინ მაღალ სპორტულ წარმატებას ვერ მიღწევ“ („ლელო“); „ეგრძნობდი, როგორ ვკარგავლი საკუთარი თავისადმი [უნდა იყოს: თავის] რწმენას“ („ახ. კომ.“); „ამან რწმენა შეურყია ახალგაზრდობის ერთ ნაწილს ნათელი მომავლისადმი [უნდა იყოს: მომავლისა]“ („საქ. ავტ.“).

რწმენა სათანადო რუსული შესიტყვების გავლენით -**ში** თანდებულიან სახელებთანაც გვხვდება: „მთავარია ჩვენმა ფეხბურთელებმა არ დაკარგონ რწმენა საკუთარ ძალებში [უნდა იყოს: ძალებისა]“ („ლელო“).

ღონე. ამ სახელის მნიშვნელობებია: 1. ჰორიზონტალური სიბრტყე, რომელიც საზღვარს წარმოადგენს რისამე სიმაღლის გასარკვევად (წყლის დონე); 2. ამა თუ იმ მდგომარეობის საფეხური; რისამე განვითარების თვისების, სიდიდის დამახასიათებელი ხარისხი, საფეხური (განათლების დონე).

ღონის მეორე მნიშვნელობა, მართალია, რისამე სიმაღლის გასარკვევ კონკრეტულ ჰორიზონტალურ სიბრტყეს არ გულისხმობს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მის დასახასიათებლად ისევ სიმაღლის ცნებაა ბუნებრივი; დონე შეიძლება იყოს მაღალი ან დაბალი, ე. ი. შეიძლება მისი მხოლოდ ამიღლება, აწევა ან დაქვეითება, დაცემა, დაწევა; „ფასების თანამიმდევრული შემცირების შედეგად მკვეთრად ამიღლდა მასების მატერიალური კეთილდღეობის დონე“ („კომ.“); „პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამიღლებას“ („კომ.“); „ბევრი რამ გაკეთდა ფეხბურთის დონის ასაწევად“ („თბილ.“)...

ამ ბოლო დროს სახელთან **ღონე** იხმარება სხვა, მისთვის შეუფერებელი სიტყვები და ამ წესით შედგენილი სინტაგმები აზრს მოკლებულია. ასეთებია: „ისინი კვლავ იმდიდრებენ [უნდა იყოს: იმაღლებენ] ცეკვის დონეს“ („გამარჯვ. დროშა“); „იზრდება [უნდა იყოს: მიღდება] მიმოქცევის ხარჯების დონე“ („საქ. სახ. მეურნ.“); „საბჭოთა კავშირში განუხრელად იზრდება [უნდა იყოს: მიღდება] მოსახლეობის ცხოვრების დონე“ („ადამ.“); „ვეცდებით გავზარდოთ [უნდა იყოს: ავამაღლოთ] „სოიუზპეჩატის“ კიოსკებისა და მაღაზიების მეშვეობით ეურნალ-გაზეთების რეალიზაციის დონე“ („კომ.“); „მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა [უნდა იყოს: ამიღლდა] სამედიცინო

მომსახურების დონე“ („გამარჯვ. დროში“); „ჩვენში უკვე მიღწეულია საშუალო საკავშიროსთან შედარებით ნაკლები [უნდა იყოს: დაბალი] დონე ავადმყოფთა ლეტალობისა“ („კომ.“)...

დრო — ხანი. დრო თანამედროვე ქართულ ენაში საკმაოდ პროდუქტიული და სახმარად მოქნილი არსებითი სახელია. გავრცელებული მნიშვნელობით, დრო აღნიშნავს გარკვეულ მონაკვეთს საუკუნისას, წლისას, დღეებისას და ა. შ., როდესაც რაიმე ხდება. ზოგ დარგობრივ ტერმინოლოგიაში (მაგალითად, ტექნიკურში, ფილოსოფიურში, საენათმეცნიეროში) ამ სიტყვით აღინიშნება ისეთი მოვლენები, რომელთაც უშუალო კავშირი არა აქვთ სიტყვის ძირითად მნიშვნელობასთან.

ამ არსებითი სახელის მონაწილეობით დღევანდელ სალიტერატურო ქართულში არაერთი მყარი შესიტყვება და ფიგურალური გამოთქმაა მიღებული: ერთ დროს, ბოლო დროს, უდროო დროს... დრონი შეფობენ, დროს იხელთებს, დროს იშოვის, დროს გაატარებს, თავისი დრო მოჭამა და ა. შ.

მნიშვნელობის მხრივ დრო-სთან ძალიან ახლოს დგას მეორე არსებითი სახელი ხანი. ისიც დროის მონაკვეთს, დროს, ეამს აღნიშნავს. ზოგ შემთხვევაში ამ ორი, სემანტიკით მსგავსი არსებითი სახელის მონაცვლეობას თანამედროვე ქართული ბუნებრივად მიიჩნევს. მაგალითად, პარალელურად იხმარება ერთ დროს და ერთხანს; ამ ბოლო დროს და ამ ბოლო ხანს; დროგადასული და ხანგადასული; დროგამოშვებით და ხანგამოშვებით; დროდადრო და ხანდახან... მაგრამ ამ ორი სიტყვის (დრო და ხანი) მოხმარება ძირითადად მაინც განსაზღვრულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ამიტომ მათი თავისუფალი მონაცვლეობა და ზოგ მსაზღვრელ სახელთან ნებისმიერი დაკავშირება ყოველთვის არ შეიძლება. მაგალითად, დღესდღეობით ქართული სწორმეტყველების თვალსაზრისით ბუნებრივად არ მიიჩნევა შესიტყვებები: უკანასკნელ დროს და ბოლო ხანს. ენა ამჯობინებს იხმაროს: უკანასკნელ ხანს და ბოლო დროს ან ამ ბოლო ხანს // ამ ბოლო დროს. შდრ.: „უკანასკნელ ხანს საქონელბრუნვის მოცულობის ზრდისა... და მიმოქცევის ხარჯების შემცირების შედეგად... მოგება სისტემატურად იზრდებოდა“ („საქ. სახ. მეურნ.“); „ბოლო დროს მისი განყოფილების ახალ გამარჯვებას ველით ხოლმე“ („თბილ.“). ამიტომ სწორი სიტყვათშეხამების ნიმუშად არ გამოდგება გამოყოფილი შესიტყვებები ქვემოთ დამოწმებულ წინადადებებში: „უკანასკნელ დროს [უნდა იყოს: უკანასკნელ ხანს] პარიზის ეკრანებზე მიდიოდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი“ („ცისკ.“); „დასასრულ უნდა ით-

ქვას, რომ ბოლო ხანს [უნდა იყოს: ბოლო დროს] მასობრივად გამოიყა და ფართო მკითხველისათვის ზელმისაწვდომი ვახდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები“ („განთ.“).

დუატი საერთაშორისო სიტყვაა (იტალ. duetto) და ნიშნავს მუსიკალურ ნაწარმოებს ორი ხმისათვის ან ორი საკრავისათვის. ამავე სიტყვით აღინიშნება ასეთი ნაწარმოების შესრულება ორი მომღერლის მიერ ან ორი საკრავის საშუალებით.

ეს უცხო სიტყვა სპორტულ თემებზე წერისას ხშირად იხმარება წყვილი შემსრულებლის (მაგ., ციგურებით სრიალში) აღსანიშნავად. „შეუდარებელი დუატი“ (მაგ., როდინინასი და ზაიცევისა) გულისხმობს **შეუდარებელ წყვილს**, ასეთი მეტაფორული გამოყენების დროს კავშირი ძირითად მნიშვნელობასთან შენარჩუნებულია: „დაიწყო წყვილთა ასპარეზობა ჩოგბურთში ქალთა შორის. ჩვენმა დუეტმა ტოუ ბარმასმა და მარია სობოლმა მოუგეს (!) დასავლეთ გერმანიის წყვილს“ („კომ.“); „ვაჟთა წყვილების თანრიგში 16 დუატი მონაწილეობს“ („ლელო“).

იმ შემთხვევებში, როცა სიტყვა **დუატი** გამოყენებულია ისეთ წყვილად შემსრულებელთა აღსანიშნავად, რომლებიც ერთად იბრძვიან სპორტული ღირსების დასაცავად, სალიტერატურო ენას თვალსაზრისით შეიძლება დასაშვებად ჩაითვალოს **დუეტის** ხმარება.

მაგრამ სიტყვა **დუეტს** ზოგჯერ ხმარობენ შეჯიბრებაში პირველ და მეორე ადგილებზე გამოსულ მონაწილეთა მიმართაც ანუ საზოგადოდ წყვილის მნიშვნელობით — იმ სპორტსმენთათვის, რომლებიც ერთად კი არ იბრძვიან საერთო მიზნისათვის, არამედ ფაქტიურად ერთმანეთის მეტოქეები არიან: „ჩემპიონთა დუატი“ („ლელო“, — სათ.); „რიგის არმიელები კი იმისათვის იბრძვიან, რომ ერთხელ და სამუდამოდ დააღწიონ თავი აუტსაიდერთა დუეტთან მეზობლობას“ („ლელო“).

დუეტ- სიტყვის ამგვარი სემანტიკით გამოყენება სალიტერატურო ენის თვალსაზრისით დაუშვებელია; ვინაიდან მახინჯდება მისი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა.

დუმილს იცავს. იცავს ზმნის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: მისდევს, ასრულებს, არ არღვევს. აღნიშნული მნიშვნელობით ეს ზმნა, ჩვეულებრივ, უკავშირდება სახელებს: წესი, ადათი, ტრადიცია, ჩვეულება, დისციპლინა, სისუფთავე, სიჩუმე... და ქმნის ფიგურალურ, მყარ გამოთქმებს: წესს იცავს, ადათს იცავს, ტრადიციას იცავს, ჩვეულებას იცავს, დისციპლინას იცავს, სისუფთავეს იცავს, სიჩუმეს იცავს... „რიგ“ მოხუცების პატივისცემისათვის ამ ჩვეულებას

თვითონ იცავდა“ (დ. კლდ.); „ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დისციპლინა“ („საბჭ. კავშ. ისტ.“)...

ქართული სიტყვა **დუმილი სიჩუმის** სინონიმი, მაგრამ, როგორც ენაში ხშირად ხდება, ეს ორი სინონიმური სახელი სიტყვათხმარებისას განსხვავებულ თვისებებს, განსხვავებულ შესაძლებლობებს ავლენს. თუ **სიჩუმე** ადვილად უკავშირდება ზმნას **იცავს (დაიცავს)** და ქმნის მეტად ბუნებრივსა და გავრცელებულ ფიგურალურ გამოთქმას — **სიჩუმეს იცავს** და გამოთქმა-მოწოდებას — **დაიცავით სიჩუმე**, ამასვე ვერ ვიტყვით **დუმილის** შესახებ. ჩანს, ამ სახელთან ვერ დამკვიდრდა ზმნა **იცავს** და ამის მიზეზი ის განსხვავებული შინაარსობრივი ელფერიც უნდა ყოფილიყო, რომელიც ამ ორ სახელს შორის არსებობს.

ამიტომ სტილისტიკურად გაუმართავია ისეთი შესიტყვებები, რომელშიც **იცავს** ზმნა დაკავშირებულია სახელთან **დუმილი**. ასეთებია: „მამაი ბასილი **დუმილს იცავდა** [უნდა იყოს: მამაი ბასილი ჩუმიად იყო, არაფერს ამბობდა, ხმას არ იღებდა, დუმიდა...]“ (კ. გამს.); „დღემდე **დუმილს იცავენ** რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მუშაკები [უნდა იყოს: დღემდე რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მუშაკები დუმიან, არაფერს ამბობენ, ხმას არ იღებენ...]“ („გამარჯვ. გზა“).

მ

მარტო ნიშნავს: წილად ხვდა, შეხვდა. მაგ.: „მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს **არა ერგო რაო**“ (ანდ.); „შარშან კოლმეურნეებს გამომუშავებულ შრომადღებებზე 2-3 ტონა **მარტო მარცვლეული ერგოთ**“ („კომ.“).

ზმნა **ერგო** ისევე, როგორც სახელურ-ზმნური ფორმები **წილად ხვდა** და **წილად ერგო** (იხ.), ზოგჯერ თავის ადგილას არ არის გამოყენებული და სიტყვათხმარების მხრივ დარღვევები გვაქვს. მაგ.: „...რაჯდენ ძოწენიძეს 3 წლით **თავისუფლების აღკვეთა ერგო**“ („თბილ.“). სასჯელის ზომა დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად სასამართლო კოდექსით მკაცრად ნორმირებული და განსაზღვრულია. ახლენად, იგი არ შეიძლება რომელიმე ბრალდებულს ერგოს. მოყვანილი წინადადება ასე უნდა გასწორდეს: „რაჯდენ ძოწენიძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს“.

ამ თვალსაზრისით გასამართავია აგრეთვე შემდეგი წინადადებები: „**ოქრო ერგო** აგრეთვე მოცეკვავეთა დუეტს — ი. მოისევეასა და ა. მინენკოვს [უნდა იყოს: **ოქროს** მედალი მოიბოთვის, დაიმსახურეს